# საერთო გაზეთი

№11 (788)
ოთხშაბათი
26 მარტი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.


## რომელ კონტინენტს დაფარავს დიდი პოლიტიკური ციკლონი?



## უძაღლო ქვეყანაში მაკრონ(ებ)ს აყეფებენ



# კვირიდან კვირამდე

## გელა ზედელაშვილის პოზიცია

### პროლოგის მაგიერ

გამარჯობა, ძვირფასო მკითხველო, მე დავბრუნდი... იყო რაღაც, რის გამოც დროებით დაგშორდი და ეს იყო შეცდომა უპირველესად ჩემი მეგობრის, ვახტანგ ხარჩილავას სულის წინაშე. დიახ, ეს დაშორება ძალიან მაწუხებდა და ვიცოდი, ერთ დღესაც უნდა გამომესწორებინა, მაგრამ კვირები, თვეები და რამდენიმე წელიწადი მაინც გამიფრინდა თითქოს შეუმჩნევლად... პრინციპში, რაღა შეუმჩნევლად? დღე არ გასულა, ვახოს ჩაფიქრებული სახე არ დამდგომოდა თვალწინ.

ვახო, ძმაო, მოვედი, ვიცი, გაგიხარდება... სამწუხაროდ, შენი ზოგიერთი რჩევა და სურვილი ვერ გავითვალისწინე, მაპატიე. რა ვქნა, ისეთ ყოფაში გვიწევს ცხოვრება, ყველაფერს ვეღარ სწვდება ჩვენი თვალსაწიერი, ყველაფერს ვერ გათვლი და ვერ გაითვალისწინებ. არ გეგონოს, თავს ვიმართლებდე, უბრალოდ, გეუბნები - საგიჟეთში ვართ, საგიჟეთში!

მოკლედ, ასეა, ჩემო ძვირფასო მკითხველო... ახლა ისღა დამრჩენია, ახალ-ახალი და საინტერესო ამბებით გაგახაროთ ხოლმე. ალბათ, გადაჭარბებად არ ჩამითვლით, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ დღეს ომში ვართ... დიახ, რაც ჩვენს თავს ხდება, ეს არის ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური და იდეოლოგიური ომი.

ვინ გვებრძვის?

მარტო ჩვენ რომ გვებრძოდნენ, რა უჭირდა? დიდი ნიჭი და დაკვირვება არ სჭირდება იმის დანახვას, რა დღეში ჩააგდეს მთელი მსოფლიო დუპლეტმა პოლიტიკანებმა. წავიდნენ დიდი პოლიტიკიდან გრანდები და მოვიდნენ ვიღაც ქეციანები. განა სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის შემდეგ მაკრონის, შოლცისა და ბაიდენის გამოჩენა სადმე შეიძლება? გამოჩენა-მეთქი, აღარაფერს ვამბობ სახელმწიფო სადავეებთან მიშვებაზე.

ეს სხვა თემაა, ამაზე უახლოეს მომავალში დაწვრილებით დავწერ. ახლა კი გადავიდეთ გასული კვირის მნიშვნელოვან ამბებზე. მნიშვნელოვანი? ო, არა, შეიძლება ზოგი მნიშვნელოვანი იყოს, ზოგი მახალო, ზოგი აჯმური, ზოგი კიდე აკარაკული, როცა ქვეყანაში ეგეთი იკლიკანტური ოპოზიცია გვყავს, მეტს რას უნდა ველოდოთ?

მოკლედ, დავიწყოთ, მოვლენებს მივყვეთ, შევაფასოთ, ჩვენეულ პრიზმაში გავატაროთ და სანთელ-საკმეველს გზა-კვალი თუ სამართალი არ დავუკარგოთ.



### ნაკოდუარ ნანუკას ვნებანი

ორშაბათ დილას ხმა გავარდა, ნანუკა ჟორჟოლიანის საქველმოქმედო ფონდი დააყადაღესო.

ჰმ... მშვენიერი, აქამდეც უნდა დაეყადაღებინათ!

როგორც თავად ნანუკა ყვება კვნესა-კვნესით, ფონდის ანგარიშზე 400 ათასი ლარი ჰქონდა და ეს ფული პატიმრებზე, დაჯარიმებულებსა და ქვრივ-ობლებზე უნდა გაენაწილებინა.

საიდან ნაკოდუარ ნანუკას ამდენი ფული? თურმე ემიგრანტები და საქართველოს რიგითი მოქალაქეები ურიცხავენ. მე პირადად არ მჯერა, მე ეს უფრო საიდანღაც გადმორიცხული თუ ქეშად შემოტანილი შავი ფული მგონია.

რატომ ვეძახი ნანუკას ნაკოდუარს?

ის თავის დროზე კუდის „უმფროს“ ერეკლე კოდუას ცოლი იყო. როცა ხელისუფლებაში ნორმალურები მოვიდნენ და ერეკლემ საზღვარგარეთ გაქუსლა, იქ სხვა ქალი გაიცნო, ცოლადაც შეირთო და ნანუკას სამი თითის კომბინაცია აჩვენა. ჰოდა, არ გამოდის ნანუკა ნაკოდუარი, რომელმაც ბოლო დროს საკმარისზე მეტად აუშვა დახეული აფრები? მარტო აფრები კი არა, ისე „გაბლატავდა“ და „გატრიპაჩდა“, ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა კიდე ქალამნად, მზეს ეჩხუბება, შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო. თუ ეგრე გააგრძელა, მზეთუნახავ სააკაშვილსაც გაუტოლებს თავსა.

ნანუკა ადრე, სააკაშვილისა და კოდუას ზეობის ხანაში ეგეთი ქველმოქმედი და სიკეთით აღსავსე არ იყო, მაშინ მრისხანე ასულის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ სვან ბიჭებს მის ტელეფონზე ზარი გაეშვათ, შეეშალათ, ამან იფიქრა, მეარშიყებიანო და ნომერი კოდუას გადასცა. კოდუამ ნიღბიანები გაუშვა, ბიჭები მოაძებნინა და სიკვდილამდე აცემინა. ესეც არ აკმარა, ციხეში ჩაყარა. ნანუკას ავტომობილები ევასება ძალიან, ერთხელ ერთი ტიპის „რენჯროვერი“ მოეწონა და ბრძანა, ახლავე აქ მომგვარეთო. მიჰგვარეს, მესაკუთრეს პანჩური ამოარტყეს, თვალით აღარ დაგვენახოო. საკმარისი იყო, ნანუკას ვინმეს მანქანა მოსწონებოდა, ეგრევე მისი ხდებოდა.

ესა, კაცო, მიმწვარ ხაჭაპურს რომ მიუგავს თავ-პირი, წესითა და რიგით, გარეთ ცხვირს ვერ უნდა ჰყოფდეს, მაგრამ ხომ ხედავთ, დემოკრატიამ რა ჰქმნა? ისე გაათავხედა, აქეთ იმუქრება, უფონდოდაც გიტირებთ ყოფასო, ტელევიზორში გამოიყვანეს, სულ მუშტები აქნევინეს - ვატო შაქარიშვილის, ნანა კაკაბაძისა და გოგა ხაინდრავას ტელეფონების ნომრებს გავიგებ და მერე ნახონ მაგათ ბულინგიო. ესენი რაღა შუაში არიან? თურმე შუაში კი არა, თავში ყოფილან - მაგათ შეუტანიათ განცხადება პროკურატურაში და ამიტომაც დააყადაღეს ნანუკას ფინანსური ბუნაგი.





### ნაპრემიერალი გილაური

არ დაიჯერებთ, სასამართლო განჩინების საფუძველზე ნანუკას ფონდთან ერთად ნიკა გილაურის ფონდიც დაუყადაღებიათ და კიდე ერთი - „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“.

ამავე დროს, ამერიკული **FARA**-ს მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ ნიკა გილაურმა 600 ათასი დოლარი ლობისტურ კომპანიას გადაურიცხა.

რა ლობირება სჭირდებოდა პოლიტიკური თვალსაზრისით ჩამოწერილ გილაურს, რომ მილიონზე მეტი ლარი ჰაერში გაისროლა? ერთნი ამბობენ, ეგ ფული „ნაცების“ რეკლამასა და სენატორ-კონგრესმენების მოსყიდვაში გადაიხადაო. არის ამაში, ალბათ, სიმართლის მარცვალი, მაგრამ მე ისიც მგონია, რომ ეს დუთინა კაცი სალომე ზურაბიშვილმა, იგივე სალომე ბაბომ გაასულელა. გაიხსენეთ, ერთი პერიოდი ექს-პრეზიდენტი რაღაც გეგმებს ჩხლართავდა, ალტერნატიული მთავრობის წარდგენა უნდოდა, გილაურს პრემიერ-მინისტრად „დანიშვნას“ უპირებდა. მე გამიკვირდა, როცა გილაური გამოჩნდა, რაღაც გაუგებარი ლექციების კითხვა დაიწყო და ჭკუის დარიგებასაც არ მოერიდა, აშკარად ეტყობოდა, პატრონებმა რაღაც „ფუნქცია“ დააკისრეს, მაგრამ მერე გადაიფიქრეს და აღარც მადამ „ექს-პლეზიდენს“ გახსენებია ალტერნატიული მთავრობა. ეგ კი არა, ქარტია რომ დაწერა და ოპოზიციის სახელმძღვანელოდ სახავდა, გახსოვთ? როგორ არა, მაგას რა დაგავიწყებთ? ერთი რა მაგის პასუხია და... ბოლო დღეებში კაი გვარიანად უტევენ ყოფილ პრეზიდენტს, როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, უკვე ყბად აიღეს, უკვე აღარ მოსწონთ - მიშა არ შეიწყალა, ახალი არჩევნები ვერ დანიშნა, ეს ხელისუფლება ვერ გადააყენა და საერთოდაც, რა უნდა, თვითონაც ვერ გაუგიაო. ისე, ლევან ხაბეიშვილი რომ დაგიწუნებს და ყბად აგიღებს, უნდა აიკრა გუდა-ნაბადი და წახვიდე შენ ძმა ოთარასთან პარიზში. არადა, ავი ენები ამბობენ, სალომე ბაბოს შვილებმაც უგანეს, რაც სამსახურები დაატოვებინეს, ზედ აღარ უყურებენო, „ვიგოდნიკები“ ეგენი!

რამდენიმე დღის წინ მოსწერა ოთარ ზურაბიშვილმა ნანუკა ჟორჟოლიანს, როგორც კი ფულის ჩარიცხვა გახდება შესაძლებელი, შემატყობინეთ და ჩაგირიცხავთო. ეგრე, რაააა, ოღონდ ეს ქვეყანა არიონ და არც ფული ენანებათ, არც ოქროს უზალთუნები, ზოგი იქით რიცხავს 600 ათას დოლარს, ზოგი აქეთ რიცხავს 400 ათას ლარს. მადლობა უფალს, არაფერი გამოსდით, ვერაფერს აკეთებენ, ერთი მხრივ კარგიც არი - თავიანთი ჯარიმებით ბიუჯეტს ავსებენ. ამას წინებზე ერთი მეგობარი ვეებოდა, პარიზში ვიყავი, ყავის დასალევად კაფეში შევედი, გავიხედე, ორასამდე კაცმა ჩამოიარა, დროშები ეჭირათ, რაღაცას ყვიროდნენ, ზოგი უსტვენდა, ზოგი დუდუკს აჭყვიტინებდა, გამყიდველს ვკითხე, ვინ არიან, რას აპროტესტებენ, რა უნდათ-მეთქი? რა ვიცი, ესენი სამი წელიწადია, აეგრე დადიან, დილით ჩაივლიან, საღამოს ამოივლიან, აღარ გვაინტერესებს, ვინ არიან და რა უნდათო. ხალხო, შეიძლება წლები გავიდეს, ამათაც ეგრე იარონ და ყოველდღე შეგვახსენონ - „ალ იქნება სამალთალი? ალ იქნება მშვიდობა“!

რაღა დაგიმალოთ და მე პირადად უკვე აღარ მაინტერესებს, ხვალ და ზეგ რას იბღავლებენ რუსთაველზე.

ჰო, გილაურზე გამახსენდა... მაგისი ყოფილი თანამშრომლები ამბობენ, ერთხელ განცხადება შეუტანეს, რეზოლუცია დაადეო და თურმე წააწერა „რეზოლუცია“. ვუყურებ ამათ და ვრწმუნდები, რომ დიდი ფულის შოვნას დიდი ჭკუა სულაც არ სჭირდება.

### თბილისს გაბრიელიუს ვიუტაუტისიუსი ეწვია!

ლიეტუველი ჯეელი ჩამოიყვანეს, ადრე საგარეო საქმეთა მინისტრი ყოფილა, დასვეს, აყბედეს, თვითონაც იყბედეს, იბოდიალეს, პრესკონფერენცია გამართეს, „იმედის“, „პირველი არხისა“ და „პოსტივის“ ჟურნალისტები არ დაუშვეს. არადა, რომ ჰკითხო, დემოკრატიას აწვებიან, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ხიბლავთ. არა, არ დაიჯეროთ, ესენი ჩვეულებრივი ფაშისტები არიან. ერთი ეგ არი, ავტომატები არ უჭირავთ ხელში. ვერ უჭირავთ, თორემ სიამოვნებით დაიჭერდნენ და ჩამოგვივლიდნენ.

მოკლედ, ისაო, ხელახალი არჩევნები ჩაატარეთ და პოლიტპატიმრებიც გამოუშვით ციხეებიდანო, - ბრძანა გაბრიელიუსმა და თვალები მრავალმნიშვნელოვნად გადაატრიალა.

ხელისუფლებაში ჩაილაპარაკეს, ეს ვიღას დაჰკარგვიაო? „ნაციონალმა“ გიორგი კანდელაკმა, ევროპარლამენტის „სტუკაჩმა“ - როგორ თუ ვის დაჰკარგვია, ეგ დიდი კაცია, ბაბუამისმა საბჭოთა კავშირი დაანგრიაო. თუ ეგრეა, მე უფრო დიდი კაცი გამოვდივარ - პაპაჩემმა 1945-ში ბერლინი აიღო



და ცოტა არ იყოს, დაანგრია კიდევაც.

ვინ იყო გაბრიელიუსის ბაბუა?

ვიტაუტას ლანდსბერგისი, გავარვარებული კომუნისტი. კიდევ კარგი, იმ დროის მომსწრეები ცოცხლები ვართ და გვახსოვს, ვინ და როგორ დაანგრია საბჭოთა კავშირი, ვის რანაირად შემოეშალა ხელში.

რა უნდა გაბრიელიუსს?

არაფერი, ერთ-ერთმა არასამთავრობომ დააფინანსა, ჩამოიყვანა, როგორც უკვე გითხარით, აყბედა, ასვა, აჭამა და გაუშვა. ავტორიტეტი მაგას არ აქვს, გავლენა, სახელი და დიდება, ეს ჩვენი ე. წ. ოპოზიციონრები კიდე ეგეთ ბერწ პოლიტიკოსებს რომ ეჭიდებიან ერთ ადგილზე, ამიტომაც არიან ეგეთ უბედურ დღეში.

საზოგადოების ზოგიერთი წევრი აგრესიულად აცხადებს, ეგეთები ხელისუფლებამ ქვეყანაში არ უნდა შემოუშვას, პერსონა ნონ გრატად გამოაცხადოსო. რათა? რამდენი ეგეთი გიჟი შემოვა და ე. წ. ოპოზიციის წისქვილზე წყლის დასხმას დაიწყებს, ჩვენი ხეირია... მიხაილ როთი გახსოვთ? ანდრიუს კუბილიუსი გახსოვთ? ანა ფოტიგა გახსოვთ? ჟიგიმანტას პავილიონისი გახსოვთ? მარკეტა გრეგოროვა გახსოვთ? რომელი ერთი ჩამოვთვალო? ყველა გაქრა შარშანდელი თოვლივით, მორჩა, აღარ არიან, მაილივნენ. ესეც გაქრება... პრინციპში, უკვე გამქრალია, ერთხელ მინისტრობა ელირსა და იქიდანაც „დააპაშოლეს“.

## ეპილოგის მაგიერ

კიდევ რა მოხდა გასულ კვირაში მნიშვნელოვანი, მაზალო, აჯმური და აკარაკული? ბევრი რამ, ე. წ. პოლიტცხოვრება ისე გარბის ჩვენს თვალწინ კინოფირივით, ზოგიერთი რამის „გადახარშვა-მონელებას“ ვერც კი ვასწრებთ. არ ვიცი, ზოგი ისეთი რამე ითქმება ხოლმე, ღირს კი ყურადღების გამახვილება? აი, მაგალითად, მამუკა ხაზარაძის პარტიის ბინადარმა ბუა საბაძემ კი არა, საბა ბუაძემ „ქართული ოცნების“ ლიდერებს მოუწოდა, ემანდ ნარკოდანაშაულებზე კანონს რომ ამკაცრებთ, ხომ არ სჯობს, თქვენ თვითონ ჩაიტაროთ ნარკოტესტი და საზოგადოებას შედეგები წარუდგინოთო? იქნებ, ჯერ კახა კალაძით დაიწყოთო?

გაიგონეთ?! კალაძემ ჩაიტაროს ნარკოტესტიო... ფაქტობრივად, ნარკომანიაო! მერე იტყვიან, არჩევნები მოვიგეთ და გაგვიყალბესო... კი არ გაგიყალბეს, ეგეთი არაადეკვატურები რომ ხართ, საზოგადოებამ დაინახა, შეისწავლა, გააანალიზა და დაადგინა, რომ თქვენი მიშვება არათუ სახელმწიფოს მართვის სადავეებთან, გახურებულ ღუმელთანაც კი არ შეიძლება. ბიჯოოოოოოო!

კალაძეს შეიძლება ყველაფერი დააბრალო, ნებისმიერი სიბინძურე მოუგონო, მაგრამ ნარკომანობა?

ჰმ... არადა, ეს ბუაძე ისე აპარპალებს დაელმებულ თვალებს, აშკარად ეტყობა, ხშირად მორფიან პაპიროზს ეწევა. არ მგონია, ბუაძეს გებელსის დოქტრინა ჰქონდეს წაკითხული, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მამუკა ხაზარაძის დოქტრინა ხომ აქვს გაზუთხული? ჰოდა, იქაც იგივე წერია - დააბრალე სხვას ის, რასაც თავად მიჰქარავ და რასაც თავად წარმოადგენ.

აი, ამაშია საქმე!

მადლობა ყურადღებისთვის, მომავალ შეხვედრამდე.

# უმწიფართა პროვოკაცია

## უხეირო შესავალი, ბრწყინვალე მატჩები, უხეირო ფინალი!

23 მარტს ჩვენმა საფეხბურთო ნაკრებმა სომხეთის ნაკრები 6:1 დაამარცხა. მანამდე იყო თამაში ერევანში, იქაც ვძლიეთ 0:3 და საბოლოო ჯამში – 9:1 გამოგვივიდა. დიდად გავიხარეთ, ასეთი ანგარიშით, კარგახანია, არავინ დაგვიმარცხებია. მე არ ვიცი, ჩვენმა ნაკრებმა ითამაშა ძალიან კარგად თუ სომხებმა ითამაშეს ძალიან ცუდად.

თუმცა!

ამ დიდ სიხარულს ჰქონდა ძალიან უხეირო შესავალი და ასევე ძალიან უხეირო ფინალი: ამ ორი თამაშის წინ „ნაცთა“ ერთ-ერთმა აქტივისტმა, ე.წ. ჟურნალისტმა ნინო დარასელმა გამოაცხადა, მატჩების დროს ტელევიზორის ეკრანიდან ზურგით დავდგები და ასე გავაპროტესტებო, მას აჰყვა მთელი „სანაცეთი“. მე ამ ქალის მამას, ზაზა დარასელს ვიცნობდი, როცა ტელერადიო კომიტეტში (ადრე ასე ერქვა) ვმუშაობდი, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და ყოველთვის ნორმალური კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს ის ნინო დარასელი გახლავთ, რომლის დედამ და დეიდამ, სამშენებლო კომპანია „ცენტრპოინტის“ საშუალებით უამრავი ადამიანი „გადააგდეს“, ზოგს ინფარქტი აჰკიდეს, ზოგს ინსულტი დამართეს, ზოგი კიდე ვადაზე ადრე გაისტუმრეს საიქიოში. დები კერვალიშვილები დაისაჯნენ, ციხეშიც ისხდნენ, გამოვიდნენ და საერთოდ დადუმდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, ნინუცის წარსული არ ასვენებს, შურისძიებას ლამობს და ამიტომაც დადგა ტელევიზორთან ზურგით. სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ზურგით დგომა, შარვლის ჩახდა და ვინმესთვის უკანალის მიშვერა „ნაცების“ საფირმო ნიშანია - გაიხსენეთ, როგორ გამოუცხადეს მათ „ომი“ რუსებს სოფელ ატოცში.

მოკლედ, ამათი ზურგით დგომა კარგად დაგვიჯდა, ამათი თვალი არ გვეცა და პირველი მატჩი შესანიშნავად ჩავატარეთ. გულშემატკივრები ამბობენ, სომხებმა ძალიან კარგად მიგვიღეს, გვიმასპინძლეს და გამოგვაცილესო. თუმცა, როგორც შემდგომში გამოჟონა, იყო რაღაც უხერხული მომენტებიც - საქართველოდან ჩასულ გულშემატკივრებს ავტომობილებზე სანომრე ნიშნები მოუხსნეს და შემდეგ 300-300 დოლარად შეასყიდეს. ვერაფერს ვიზამთ, კარგი და ცუდი ყველგან არის.

მოკლედ, ასეა იყო თუ ისე, სამ დღეში სომხები თბილისს ეწვივნენ, „ნაცები“, „გნაცები“, „შმაცები“ და მათთან გათანაბრებული პირები ისევ ზურგით დადგნენ, ჩვენ უფრო მეტად გავიხარეთ - სომხებს გამანადგურებელი ანგარიშით მოვუგეთ, მსოფლიო ჩემპიონატზე გამსვლელ B ჯგუფში ადგილი დავიბევეთ, მაგრამ მატჩის შემდეგ ზურგით მდგომებმა (ამაში დარწმუნებული ვარ) მაინც შემოგვიგდეს პროვოკაცია - მოულოდნელად მოედანზე გამოცვივდნენ თავხედი ბალღები, სწორედ ისინი, რუსთაველზე რომ დაბოდიალობენ დასეტყვილი ჭუჭულებივით და სომეხ გულშემატკივრებს დაუწყეს ჯერ გინება, შუა თითის ჩვენება, შემდეგ კი ბოთლების სროლა. ავიენები ამბობენ, ჯერ სომხებმა დაუწყეს გინება ქართველებს და ეს იყო იძულებითი პასუხიო. მე ვნახე ყველა ვიდეო, კარგად დავაკვირდი მოვლენებს, გამოვკითხე არაერთი იქ მყოფი პიროვნება და დავადგინე, რომ სომეხი გულშემატკივარი აგინებდა სომეხ ფეხბურთელებს, რომლებიც თავჩაღუნულები იდგნენ სარბენ ბილიკზე. აი, ეს გამოიყენეს პროვოკაციის ავტორებმა და შემოყარეს მოედანზე უმწიფარი ბალღები, დაურიგეს 50-50 ლარი და იმათაც მეტი რა უნდოდათ? შეასრულეს დამკვეთების ბრძანება.

როგორ ფიქრობთ, არის თუ არა კავშირი ზურგით დგომასა და ასეთ უსგავსო ფინალს შორის? ჩემი აზრით, არის. მე კონკრეტულად „ნაცების“ აქტივისტ ნინო დარასელს არ ვადანაშაულებ, მე ვამბობ, რომ ამ აქციასა და პროვოკაციას შორის ნამდვილად არის თანხვედრა - ვინც ზურგით დგომის აქცია და მანამდელი გამოხდომებიც დაგეგმა ფეხბურთელების წინააღმდეგ (ვგულისხმობ ბულინგს), მანვე დაგეგმა მოედანზე უმწიფართა ლაშქრობაც.

მეტიც!

ეს გახლავთ იმ ბაქქანალიის გაგრძელება, რაც თვეების განმავლობაში ხდებოდა რუსთაველზე და დღესაც ხდება. აბა, რა გეგონათ, პოლიციელებზე თავდასხმები, მოლოტოვის კოქტეილების სროლა, მანქანების გადაბუგვა, პარლამენტის შენობისთვის ცეცხლის წაკიდება, სათვალთვალო კამერების ლეწვა და ათასნაირი სიბინძურე უკვალოდ ჩაივლიდა? არა, ეს ყველაფერი, თუ მკაცრად არ აილაგმა, ყველა ჩვენგანის ოჯახში სხვადასხვა ფორმით შემოაღწევს და მერე უკვე გვიანი იქნება.

სამწუხაროდ, ამ კრეტინიზმს ხელს უწყობენ ე.წ. ოპოზიციონერები და მათი მომხრეები, ისინი რაცხავენ დამნაშავეებს გმირებად და ქართველი ხალხის რჩეულებად. ამის ავანგარდში დგას „მადამ ექს-პლეზიდანი“, რომელიც, გამოგიტყდებით და უკვე 300 წლის ყვავს დაემსგავსა. იცით, როგორი პრეტენზიული განცხადება გამოაცხო მადამმა? ა, ბატონო, საკუთარი თვალით იხილეთ:

„როგორც ჯერაც ლეგიტიმური პრეზიდენტი, მინდა პრეზიდენტის როლში ბოდიში მოვუხადო ჩვენ მეზობელ ხალხს ზოგ ჩვენ უჯიშო მოქალაქეების უმსგავსო საქციელისთვის“.

როგორ მოგწონთ? იყო დრო, იგი აშშ-დან აგულიანებდა ამ „უჯიშოებს“, მიდით, გადაწვით, გადაბუგეთ რუსთაველი, მე თქვენთან ვარ გულით და სულითო. ალბათ, გახსოვთ, ხომ? ახლა სხვანაირ ჩვენებას აწვება, თავისივე „პადელნიკებს“ უჯიშოებს უწოდებს. ეგეთია აგენტის ბედი, მან ყოველთვის უნდა იმოქმედოს მანასეს პრინციპით - ხან ასე, ხან ისე.



რაღა დაგიმალოთ და არის რაღაც ბონაპარტისეული სალომე ბაბოში - როცა ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, მას თავი ისევ იმპერატორად მიაჩნდა, თუ ვინმე გაბედავდა და იმპერატორად არ მოიხსენიებდა, ეგრევე მტერი ხდებოდა, სწყინდა, ბოღმიანობდა და თავისი ოთახიდან კვირების განმავლობაში აღარ გამოდიოდა. ესეც ეგრეა, თავი ისევ პრეზიდენტი ჰგონია, თუ არ მიმართავთ - ქალბატონო პრეზიდენტოო, მტერი ხართ, ეგრევე ბოღმიანობას იწყებს და მზად არის, ყველას პანჩურით გაუმასპინძლდეს. სხვათა შორის, სალომე ბაბოში არის რაღაც ლენინისებურიც - როდესაც ვლადიმირ ილიჩს სიფილისი დაემართა და გონებაც დაულპა, სტალინმა ხელქვეითებს გაზეთ „ისკრის“ ერთი ნომრის გამოცემა დაავალა, სადაც სულ ისეთი ამბები ეწერა, რაც ლენინს ძალიან გაახარებდა. დროა, ჩვენც გამოვცეთ რომელიმე გაზეთის მხოლოდ ერთი ნომერი, ან დავარეგისტრიროთ ერთი ტელეარხი, სადაც მის პრეზიდენტობასა და საგმირო საქმეებზე იქნება საუბარი. განა ამის გაკეთება რთულია? ვთხოვოთ მკვდარი მაკკეინის ინსტიტუტს, ეგრევე დაგვთანხმდებიან, უარს ნამდვილად არ გვეტყვიან.

რა იქნება შემდეგ?

ჯერ არ ვიცით, ზოგნი ამბობენ, რომ უეფა მხოლოდ ჯარიმაზე გადაგვატარებს; ზოგნი ამტკიცებენ, რომ თურქეთთან გულშემატკივრების გარეშე მოგვიწევს თამაში; ზოგნი იმასაც ამბობენ, რომ „დინამოს“ სტადიონის ადმინისტრაციას უნდა მიექცია ყურადღება დარღვევებისთვის, ყველაფერი მათი ბრალია. მაგალითად, გაირკვა, რომ ამდენი თავზეხელაღებული ბალღობა უბილეთოდ შევიდა სტადიონზე, მეორე - სტუმრების სექტორს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა დაცვა, მესამე - მოედანზე თავზეხელაღებულთა პარპაში ადმინისტრაციას უნდა აღეკვეთა. თუ ახლა მხოლოდ ჯარიმაზე გადაგვატარეს, უკეთესი იქნება, მაგრამ უგულშემატკივროდ მატჩის გამართვა ჩვენთვის ნამდვილად იქნება კატასტროფა, რადგან თურქები ნამდვილად არ არიან ისეთი სუსტები, როგორიც სომხები. ვნახოთ, დაველოდოთ, როგორც ჩანს, ჩვენ ყველა სფეროში გვჭირდება ასი თვალი და ასი ყური, სადაც არ ველოდებით, სწორედ იქ გვიგებენ ხოლმე მახეს. ახლა ჯერი სამართალდამცავებზეა, მათ პროვოკაციაში მონაწილეების იდენტიფიცირება არ უნდა გაუჭირდეთ.

**გელა ზედელაშვილი**

# მსოფლიოში ტრადიციულ ოლიგარქიას ტექნოკრატიული ელიტა შეცვლის



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია საერთაშორისო ურთიერთობათა მცოდნე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი გოგავა:*

**— ბატონო ირაკლი, ტრამპსა და პუტინს შორის გამართული სატელეფონო საუბრის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ენერგეტიკულ ობიექტებზე ცეცხლის შეწყვეტას დათანხმდა.**

— ვფიქრობ, ტრამპი, აშკარად განწყობილია, რომ ომი შეაჩეროს, რაც უდავოდ კარგის ნიშანია. თუმცა, ომის შეჩერება ტექნიკური კუთხით რთული მისაღწევია, რადგან ფრონტის ხაზზე ორივე მხარეს მილიონ-ნახევარი ადამიანი იბრძვის. ვერც უკრაინის და ვერც რუსეთის ხელისუფლება, თავის ჯარს ვერ ეტყვიან, ბრძოლა შეწყვიტეთო. ამას ჯარისკაცების, ოფიცრების მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვება. ამიტომ, დეესკალაციისკენ სვლა ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება. პირველი ეტაპი ენერგეტიკულ ობიექტებზე დარტყმის შეჩერების ერთგვარი შეთანხმებაა. ასევე, ზღვაზე სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის იდეაც გაჟღერდა. სახმელეთო ოპერაციები კვლავ გაგრძელდება. ომის შეწყვეტას ევროპული ქვეყნები ეწინააღმდეგებიან, რომელთაც რუსეთ-უკრაინის ომში დიდი ფული — ინვესტიცია ჩადეს და გრძნობენ, რომ სანაცვლოდ ვერაფერს იღებენ. წესით, დამარცხებული რუსეთის აქტივები, ბუნებრივი რესურსები და სხვა სიკეთეები უნდა მიეღოთ, მაგრამ ბრძოლის ველზე მისი დამარცხება ვერ შეძლეს. ვერც თავად რუსეთის ხელისუფლების ჩამოშლა მოახერხეს. შედეგად, ცუგცვანგში არიან და ომის გასაგრძელებლად ახალ სვლებს ეძებენ. ერთ-ერთი სვლა საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის მცდელობაც იყო.

ტრამპმა ევროპის გლობალისტურ ელიტას ომი გამოუცხადა, თუმცა, ეს უკანასკნელი ფარ-ხმალს მაინც არ ყრის. ტრამპის აზრით, ეს ომი გლობალისტების სცენარია. იგი ზელენსკის მათ მოკავშირე ფიგურად მიიჩნევს. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ აშშ-ის პრეზიდენტს ხელისუფლებაში მისი ყოფნა არ მოსწონს. ამიტომ ამერიკაც და რუსეთიც ზელენსკის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას ან მის არალეგიტიმურად ცნობას შეეცდებიან. რადგან უკრაინის კონსტიტუციით, სამხედრო მდგომარეობის დროს პრეზიდენტის უფლებამოსილების გაგრძელება არ შეიძლება, ხოლო უმაღლესი რადისა — შესაძლებელია. ასე გამოდის, რომ უკრაინის კონსტიტუციით, სახელმწიფოს ლეგიტიმური მეთაური, პარლამენტის სპიკერი ბატონი სტეფანჩუკია. რუსეთი ამაზე აპელირებს. დაველოდოთ მოვლენების განვითარდებას — ან ახალი არჩევნები ჩატარდება, ან ზელენსკის არალეგიტიმურად ცნობენ.

**— ზელენსკი ამ მოლაპარაკებებს არ ენდობა, პუტინის დღის წესრიგში მშვიდობა არ შედისო...**

— პუტინმა საკუთარი სურვილების შესახებ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე განაცხადა. ეს გახლავთ უკრაინის უბლოკო სტატუსი; ნატო არ უნდა გაფართოვდეს უკრაინისა და, მათ შორის, საქართველოს, სამხრეთ კავკასიის მიმართულებითაც და ასევე, უკრაინაში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების დაცვა. რა თქმა უნდა, რუსეთს სურდა, კონტროლი მთელ უკრაინაზე აეღო, მაგრამ უკრაინელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. თუმცა, ფრონტის ხაზზე რუსეთს უპირატესობა აქვს, რაც თვალნათელია. რაც შეეხება ზელენსკის, ვფიქრობ, ეს ომი თავიდან უნდა აეცილებინა, რადგან ამომრჩევლის 3/4-მა არჩევნებში ხმა სწორედ იმიტომ მისცა, რომ ამბობდა: მშვიდობას დავამყარებ და რუსულენოვან მოსახლეობას დევნას არ დავუწყებო. არადა, ომში ჩართული აღმოჩნდა. ამ კონფლიქტის თავიდან აცილება დიალოგის გზით შეიძლებოდა. ახლა უკრაინელ ხალხს სამშობლო აქვს დასაცავი, რასაც აკეთებს კიდეც. მე მაინც მიმაჩნია, რომ დიპლომატიას ალტერნატივა არ აქვს — კარგ ომს ცუდი მშვიდობა სჯობს.

**— პუტინი ცეცხლის 30-დღიან, სრულ შეწყვეტას არ დათანხმდა. როგორც ამბობს, ბევრი შეკითხვები აქვს. მაგალითად, რისთვის გამოიყენებს 30-დღიან ცეცხლის შეწყვეტას უკრაინა — მობილიზაციისთვის, ძალების გადასინჯვისთვის, თუ უკრაინაში ახალი ტექნიკის შეყვანისთვის. ასევე, როგორ მოხდება იმის იდენტიფიცირება, თუ რომელმა მხარემ დაარღვია შეთანხმება?**

— 30-დღიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება მობილიზაციის თუ სხვა კუთხით, ორივე მხარეს აწყობს. მთავარია, მხარეების მშვიდობის დამყარება რეალურად სურდეთ. ვიცით, რომ ევროპის გარკვეულ ქვეყნებს უნდათ, ომი გაგრძელდეს და მასში ამერიკის ადმინისტრაცია ჩაითრიონ, მაგრამ ტრამპს ეს არაფერში სჭირდება. აშშ-ის პრეზიდენტს ომის შეჩერება უნდა, რათა ევროპის ლიბერალურ-გლობალისტურ ელიტასთან ბრძოლა განაგრძოს. ამ ბრძოლაში იგი რუსეთის პოზიტიურ როლს მოიაზრებს. იდეოლოგიური ბრძოლის თვალსაზრისით, ტრამპი და პუტინი შესაძლოა, მოკავშირეებადაც კი მივიჩნიოთ. ისინი ომთან დაკავშირებით ევროპას არაფერს ეკითხებიან. ვაშინგტონში ჩასულ ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში, კაია კალასს, დანიშნული შეხვედრა გაუუქმეს. ტრამპის ადმინისტრაცია ევროპის ცალკეულ ქვეყნებთან ურთიერთობს და არა ევროკავშირთან. ეს ნიშნავს, რომ იგი ევროკავშირს არ აღიარებს. მან კიდეც თქვა, ევროკავშირი ამერიკის დასაკნინებლად არის შექმნილიო.

**— ზელენსკი უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს, რაშიც დახმარების გაგრძელება და მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტის უკრაინის ტერიტორიაზე განთავსება იგულისხმება. ეს რამდენად იქნება რუსეთის შეჩერების გარანტია?**

— უსაფრთხოების აბსოლუტურ გარანტიებს, უკრაინას ვერავინ მისცემს. მაგალითად, ბუდაპეშტის მემორანდუმით, მისი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა გარანტირებული იყო, მაგრამ ვხედავთ, რომ ამან ვერ იმუშავა — უკრაინის ტერიტორიის თითქმის 20% ოკუპირებულია. აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია თეორიულად ხელი მოაწეროს დოკუმენტს იმის შესახებ, რომ თუ უკრაინას მომავალში ვინმე თავს დაესხმება, ამერიკა ომში ჩაერთვება. თუმცა, აშშ-ის ინტერესებში ეს არ შედის. უკრაინა მისგან შორს არის და ასეთ ვალდებულებებს, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, არ აიღებს. სიმართლე ცოტა მწარეა, მაგრამ ერთადერთი, ვისაც რეალურად შეუძლია, უკრაინას გარანტიები მისცეს, ეს რუსეთია. ანუ, უკრაინა რუსეთის ისეთ პირობებზე უნდა შეუთანხმდეს, რომ მომავალში კონფლიქტი გამორიცხოს. დეტალები მოლაპარაკების საგანია. როცა ტრამპმა დამოუკიდებლობა მიიღო, კონსტიტუციის შეცვლამდე, სადაც უბლოკო სტატუსის შესახებ ჩანაწერი ამოიღო, რუსეთი მასთან არ შეჭრილა. **ჩემი აზრით, კონფლიქტის მოგვარების გასაღები, მომავალი შეთანხმების ღერძი, სწორედ უკრაინის უბლოკო სტატუსი იქნება.**





**— პუტინი ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად ყირიმის რუსეთის ტერიტორიად აღიარებას აყენებს. ეს რამდენად აძლევს რუსეთს შესაძლებლობას, რამდენიმე წელიწადში უკრაინას თავს ისევ დაესხას?**

— არ მგონია, უკრაინა საკუთარი ტერიტორიების დაკარგვის აღიარებაზე წავიდეს. სავარაუდოდ, მოიძებნება ფორმულა, რომლის მიხედვითაც, უკრაინა ვალდებულებას აიღებს, რომ ტერიტორიების დაბრუნებას სამხედრო გზით არ შეეცდება. ეს კომპრომისული ვარიანტი იქნება, რაც სამშვიდობო შეთანხმებაში ჩაიწერება. ბუნებრივია, უკრაინა საკუთარი ტერიტორიების დაკარგვას ვერ აღიარებს ისევე, როგორც საქართველო — ჩვენც გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიები, რომლის დაკარგვას არასდროს ვაღიარებთ და ყოველთვის შევეცდებით, ისინი მშვიდობიანი გზით დავიბრუნოთ.



**— 30-დღიანი ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნა განპირობებული იყო იმით, რომ გაეგოთ, შესაძლებელია თუ არა სამშვიდობო მოლაპარაკების მიღწევა. თქვენი აზრით, რა გამოიკვეთა?**

— ვფიქრობ, გათვლა შემდეგზეა: თუ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, ანუ ნაწილობრივი მშვიდობა დამყარდა, ამ შემთხვევაში უკრაინაში, კიევში პოლიტიკური პროცესები გამწვავდება და ხალხი ზელენსკის წალეკავს, რადგან მოსახლეობის უმრავლესობას, დარწმუნებული ვარ, მშვიდობა სურს და არა ომი. ქვეყნიდან მილიონობით ადამიანია გასული. ერთ-ერთ უკრაინელ დემოგრაფს ვუსმინე, რომელმაც აღნიშნა, რომ ყოველ მომდევნო წელს გასული ადამიანების 15%, უკრაინაში აღარ დაბრუნდება, რაც დემოგრაფიული კატასტროფის ტოლფასია. ასეთი დემოგრაფიული კოლაფსი არცერთ სხვა ქვეყანაში არ მახსენდება.

**— ზემოთ აღნიშნეთ, ტრამპი და პუტინი ევროპას არად დაგიდევენო. ამ მოლაპარაკებებში სად არის ევროპის ადგილი? მედვედევმა აღნიშნა: სასადილო ოთახში მხოლოდ რუსეთი და ამერიკა არიან, სხვა ქვეყნები კი მენიუაო...**

— ევროპას ჯეი დი ვენსმა მიუნხენის კონფერენციაზე კულტურულად მიუთითა: თქვენთან ავტორიტარიზმია და დემოკრატია უნდა დააბრუნოთო. შესაბამისად, ავტორიტარიზმი და ბრიუსელში არარჩეული ჩინოვნიკების დიქტატურა უნდა შეწყდეს. ორბანი ღიად ამბობს, რომ ევროპული სტრუქტურები „სოროსის“ აგენტებისგან უნდა გაიწმინდოს და ტრადიციულ გზას დაუბრუნდნენ. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ევროპა კვლავ მეორეხარისხოვანი მოთამაშე გახდეს. პირველი ხარისხის თამაშს ის ვეღარასდროს შეძლებს. ზოგადად, ევროკავშირს დეზინტეგრაციული პროცესები ემუქრება და დღევანდელი ფორმით თავს ვერ შეინარჩუნებს.

**— ტრამპი პუტინს ზავის ჩაშლის შემთხვევაში, სანქციებით დაემუქრა. რეალურად, რა ბერკეტი აქვს აშშ-ის პრეზიდენტს?**

— სანქციები, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ არ მოქმედებს, მაგრამ ამით რუსეთის ეკონომიკის ჩამოშლა ვერ მოახერხეს. რუსეთი ახერხებს ნავთობის, გაზის ჩინეთისა და ინდოეთის მეშვეობით გაყიდვას, რომლის დროსაც ურთიერთანგარიშსწორებისას დოლარს კი არა, ეროვნულ ვალუტებს იყენებენ. ამიტომ ყველანაირი ეკონომიკური გათვლებით, რუსეთს თავისუფლად აქვს რესურსი, რათა კიდევ 3-5 წელი ინტენსიური საომარი სამხედრო კამპანია აწარმოოს.

რაც შეეხება ჯიდაში გამართულ მოლაპარაკებას, ვფიქრობ, აშშ გარკვეულ შედეგს მიაღწევს. ტრამპისთვის მნიშვნელოვანი ომის შეჩერებაა, რათა გლობალისტებს უკვე სხვა დონეზე მიხედოს. აშშ-ს უკრაინის მიმართ გარკვეული ბერკეტები აქვს, ხოლო რუსეთის მიმართ ბერკეტები თითქმის აღარ არსებობს იმიტომ, რომ წინა ადმინისტრაციამ ყველა მათგანი აამოქმედა. ვითარება უფრო რომ გამწვავდეს და აშშ ომში თავად ჩაერთოს, ეს ბირთვულ, მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს, რაზეც ტრამპი არ წავა. მოკლედ, რეალური სურათი ასეთია: რუსეთი და ამერიკა ახლა ევროპას ერთად კენწლავენ. როგორც ჩანს, მათ შორის თანამ-

9 გვ.

# უძაღლო ქვეყანაში მაკრონ(ებ)ს აყეფებენ



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:*

**— ბატონო შოთა, ევროკავშირის მიმართ ვაშინგტონის კრიტიკა არ წყდება. ტრამპმა მას საზიზღარი სტრუქტურა უწოდა. ევროკავშირის დამოკიდებულება არც ჩვენდამი შეცვლილა...**

— ევროკავშირი საქართველოზე მეტად ტრამპის ადმინისტრაციის წინააღმდეგ არის მომართული. ჩვენ არ განვიხილებით იმდენად ძლიერ აქტორად, რომ მისი სამიზნე ვიყოთ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ევროკავშირი აშშ-სთან ურთიერთობის ალტერნატივად ჩინეთს განიხილავს. ჩვენი ოპოზიცია აქამდე ჩინეთს კომუნისტურ ქვეყანას ეძახდა, სადაც დემოკრატია არ არის. თუმცა, მალე ამ გარდაქმნასაც ვნახავთ, როგორ იტყვიან, ჩინეთი საოცარი ქვეყანააო. ეს რიტორიკა ევროპაში უკვე დაწყებულია. ჩინეთმა ის ფუნქცია უნდა ჩაანაცვლოს, რაც ევროპაში აშშ-ს ჰქონდა.

**— ტრამპის დღის წესრიგში მთავარი საკითხი მშვიდობაა...**

— როგორც გამოჩნდა, პოლიტიკა რეალურად ისეთი კოხტა არ არის, ჩვენ რომ წარმოგვედგინა. მეორე მსოფლიო ომის მერე, ის წესრიგი, რომელზეც მსოფლიო შეთანხმდა, უკვე დარღვეულია. ახალი წესრიგის ჩამოყალიბება ხდება, რომელიც როგორც მაშინ, ახლაც ისევ ძალაზეა დამყარებული. მშვიდობა, რომელიც 1945 წლის შემდგომ მივიღეთ, მაინც ძალის პოლიტიკას ემყარებოდა. ამ ძალის ბალანსს ყოფილი საბჭოთა კავშირი, აშშ და ბრიტანეთი წარმოადგენდნენ. ახლა ახალი ბალანსი ყალიბდება, სადაც პრიორიტეტი ისევ ძალაა. ასი წლის განმავლობაში ჰუმანიზმის იდეებზე აღზრდილი ცივილიზაცია ისეთ რაღაცებს ვეჯახებით, რაც ჩვენთვის მიუღებელია. მაგალითად, ტრამპი, რომელიც ბევრს სამართლიანობის ეტალონად წარმოუდგენია, გრენლანდიის, კანადის მიერთებას ითხოვს. ანუ, ტრამპის საუბარში ძალის პოლიტიკა დომინირებს. ეს არ არის ჰუმანური სამყარო. აქედან გამომდინარე, ამ სამყაროში ჩვენს ადგილზე უნდა ვიფიქროთ და ფრთხილად ვიყოთ. ტრამპის მოსვლით აღტკინებულებს ვეკითხები: მან ხვალ რომ გვითხრას, თქვენი ტერიტორიაც მინდაო, რა პოზიცია გვექნება?! პრაგმატულად უნდა ვიმოქმედოთ. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ტრამპი ჩვენი მოკავშირეა და საქართველოს ასაღორძინებლად, ასაყვავებლად მოვიდა. ასე ფიქრი სისულელეა. ისეთი დამოკიდებულება, რომ თითქოს უდიდესი ძალები მსოფლიოში იმისთვის არსებობენ, რომ ჩვენთან დემოკრატია, კარგი ცხოვრება, კრუასანები და ხაშლამა იყოს, მცდარია.

**— რუბიომ განაცხადა, რომ ევროპას ომის ერთი წლით გახანგრძლივება სურს. საქართველოსთვის რამდენად ზრდის ეს საფრთხეებს?**

— მოვლენებს პრაგმატულად, რაციონალურად უნდა შევხედოთ. ცეცხლი ერთი დღეც რომ შეწყდეს, ადამიანებისთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როცა ევროპა ამბობს: ომი უნდა გაგრძელდესო, მას თავისი ინტერესი აქვს — ასეთ შემთხვევაში, რუსეთს ევროპის სხვა ქვეყნების ანექსიისთვის არ ეცლება. ბევრი ევროპული ქვეყანა აბსოლუტურად დაუცველი გახდა მას შემდეგ, რაც ტრამპმა განაცხადა, ფული გადაიხადეთ, თორემ არ დაგიცავთო. მაგალითად, გერმანია, რომელსაც ოთხმოცი წლის განმავლობაში ფარი იცავდა, რომელიც აშშ-ის მიერ იყო შექმნილი. მისი სამხედრო ხარჯები მინიმუმამდე იყო დაყვანილი. დღეს გერმანია ასეთ კომფორტულ მდგომარეობაში აღარ/ვეღარ იქნება. აქვე გეტყვით, რომ აშშ-სა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის ურთიერთობების დათბობა პირადი სიყვარულის გამო როდი ხდება. ჩინეთთანაც ვითომ მეგობრობას აპირებენ, მეორე წუთში კი მას ყველაზე დიდ პრობლემად აცხადებენ. ამიტომ რუსეთთან დაზავება სიყვარულით კი არა, ჩინურ-რუსული ალიანსის დაშლით არის გამოწვეული.

**— ამ ფონზე საქართველოში მიმდინარე პროცესებს როგორ შეაფასებთ, პროტესტი კვლავ გრძელდება და მოთხოვნებიც უცვლელია?**

— ხომ გაგიგონიათ გამოთქმა, მდინარეზე გადასვლისას ცხენებს არ ცვლიანო. ახლა საქართველო დგას დილემის წინაშე, როგორმე გადარჩეს, სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნოს. ქვეყანაში ბევრი რამ მოსაწესრიგებელია, მაგრამ ახლა ის დრო დადგა, როცა ყველა ქართველმა უნდა შეიგნოს, რომ როგორმე ეს მძიმე პერიოდი გადასატანია. ხელისუფლებამ შეცდომები არ უნდა დაუშვას. აუცილებელია, პოლიტიკაში ჯანსაღი ძალები გამოჩნდნენ. არავინ იცის, მსოფლიოს რა ელის, ლამის ბირთვულ ომამდეა მისული, ასეთ დროს განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს. ადამიანი, რომელსაც ეს ელემენტარული რამ არ ესმის, სხვის ხელში იარაღი და სასარგებლო იდიოტია. არ შეიძლება, შენი ქვეყანა თუნდაც იმის გამო დაანგრიო, რომ სასამართლო სისტემას სათავეში მურუსიძე უდგას. თუ ჩვენი შვილების, ქვეყნის ბედი გვაწუხებს, გონიერება უნდა გამოვიჩინოთ და ის უარყოფითი ენერგია, რაც ქვეყანაში დაგროვდა, დადებითისკენ შევცვალოთ. მივესალმები რაციონალური ძალების გამოჩენას და არა სასარგებლო იდიოტებს.

**— 31 მარტს ოპოზიცია ზურაბიშვილის თაოსნობით აქციისთვის ემზადება...**

— ეს უკვე სასაცილოც აღარ არის. ოპოზიცია თავადაც ხვდება, რომ აბსოლუტურად მარგინალური, ურეიტინგო ძალების კრებულია, რომლის მიმართ ნდობა სულ უფრო და უფრო იკლებს. აქციებზე მათ სასარგებლო იდიოტებიც კი აღარ იკარებენ. ოპოზიციის პერსპექტივა ნულია. ახლა გაიძახიან, თვითმმართველობის არჩევნები არ უნდა ჩატარდესო. „ქართული ოცნებისთვის“ ამაზე კარგი სხვა რა უნდა გააკეთონ. ახალი ძალების ფორმირება არ ხდება. ამიტომ მმართველ პარტიას, რეალურად, ოპონენტი არც ჰყავს.

**— ბატონო შოთა, ვისი სახელობის მარშები აღარ ვიხილეთ: ორსულების, ვაკელების, ახლახან, „მეგობარი აქტის“ მხარდამჭერთა მარშიც გაიმართა...**

— სხვა რა უნდა ქნან? — თავიანთი არსებობა რაღაცნაირად ხომ უნდა გაამართლონ. ადრე ოპოზიცია ხალხს მთელ ქალაქში დაატარებდა, მივიდოდნენ პარლამენტთან, იყვირებდნენ და მერე „გეგმას“ აცხადებდნენ: ხან შსს-სთან მიდიოდნენ, ხან ივანიშვილის რეზიდენციასთან, ხან სად და ხან — სად... ხალხის ნაწილი გზაში იღლებოდა და სახლში მიდიოდა. ეს აქციების დაშლის ცნობილი ხერხია. ახლა ამას მარშები დაარქვეს, ვითომ კრეატიული, ამ დროს საშინელი უგემოვნო. დოიაშვილის გლამურული პროტესტი, რეგიონ-რეგიონ სიარულის თანხლებით, ხომ საერთოდ საშინელებაა. მე ეგ ძალიან ნიჭიერი კაცი მეგონა, ამ დროს საკმაოდ ცუდი სპექტაკლი წარმოგვიდგინა. ეს ყველაფერი ბოლშევიკების პერიოდს მაგონებს. მაშინაც იყო ასეთი მარშები, როცა ვითომ ახალ სამყაროს აშენებდნენ. მათ „პერფორმანსს“ ასე ერქვა — „მოვიცილოთ სირცხვილი“ და შიშვლები დადიოდნენ. ესენიც ამ გზას ადგანან, რომლებიც მდარე სანახაობის გარდა, ვერაფერს ქმნიან.

**— ევროპული საბჭოს სამიტზე ორი დღე ევროპის გადაიარაღებისა და უკრაინის საკითხს განიხილავდნენ. ზურაბიშვილმა კი მათ საქართველოს საკითხის განხილვაც მოსთხოვა...**

— ზურაბიშვილი საფრანგეთის დაზვერვის ოფიცერია და თავის მეორე სამშობლოს ემსახურება. ამიტომ მისი ქცევა ადეკვატურია. მეორე საკითხია, რომ დღევანდელი მსოფლიოს ლიდერები ისეთები აღარ არიან, როგორებიც დე გოლი და ძველი ფორმაციის სხვა პოლიტიკოსები იყვნენ. დღეს საფრანგეთს მაკრონი მართავს. მისი მიტერანთან ან დე გოლთან შედარება წარმოუდგენელია. ახლა მსოფლიოში პოლიტიკას საკმაოდ მდარე აზროვნების ხალხი მართავს. უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო, — ასეა საქმე.

**— ბოლო დროს აქტიურად ხდება ფეხბურთელებზე, მსახიობებზე, ჟურნალისტებზე თავდასხმები, ე. წ. ბულინგი... ადამიანები ერთმანეთს გადაჰკიდეს. რა შეიძლება ამ სიძულვილს მოჰყვეს?**

— ამ ყველაფერს „დიდ დროში“ უნდა შევხედოთ. გავიხსენოთ წინა საუკუნის იტალიური ფილმები, სადაც ომის შემდეგი იტალიაა წარმოდგენილი. ამას საქართველოზე თუ გადმოვიტანთ, ჩვენ ამ მდგომარეობიდან ახლა გამოვდივართ, რადგან უზარმაზარი იმპერიის დაშლა მარტივად არ მომხდარა, ამას ომები მოჰყვა. რეალურად, ახლანდელი იტალია უკეთეს მდგომარეობაშია. ვფიქრობ, სიტუაცია აქაც დალაგდება. მთავარია, ისეთი შეცდომა არ ჩავიდინოთ, რომ სახელმწიფოებრიობა საერთოდ დავკარგოთ. თუმცა შეიძლება სახელმწიფოებრიობა დაკარგო, მაგრამ ერი ისევ არსებობდეს. ჩვენ ამის ნათელი მაგალითი ვართ. საქართველოს ისტორიის განმავლობაში, სახელმწიფოებრიობა სულ, ალბათ, 4-5 საუკუნე ჰქონდა, მაგრამ ერი და კულტურა გადარჩა. სახელმწიფოს უნდა მოვუფრთხილდეთ. თანდათან ყველა ხვდება, რომ ეს პროტესტი სისულელეში გადაიზარდა. ყველას მოვუწოდებ, უფრო იფიქრონ, ვიდრე იარონ — სიარულით საქმე არ კეთდება. ჩემი აზრით, რაც მეტს ივლიან, ამით ჭკუა ნამდვილად არ მოემატებათ. მეტი აზროვნებაა საჭირო. ხანდახან უნდა დასხდნენ და დაფიქრდნენ.

**— როგორც გაირკვა, დაყადაღებული ფონდებიდან თანხების მობილიზება ხდებოდა, რათა ახალგაზრდებში აგრესია დაეთესათ...**

— ძირითადი თანხა აშშ-იდან — „სოროსის“ და „იუესაიდის“ ფონდებიდან მოდიოდა. აქ ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველა ხელისუფლება ამბობდა, ისეთი ცხოვრება გექნებათ, კრუასანებს შეჭამთ და ხაშლამას დააყოლებთო. ახალგაზრდობას ტვინი გამოურეცხეს. განათლების სისტემა დანგრეულია. ახალგაზრდები რეალურ განათლებას არ იღებენ. ამ ადამიანებს პრიმიტიული, სოროსული, ე. წ. ლომაიას განათლება აქვთ მიღებული. ამ ბავშვებისაც მესმის, მათ 30 წელი ჰპირდებოდნენ, რომ ედემში წაიყვანდნენ და უცებ ეს დიდი ხნით გადაიდო. მათ რაციონალური რეფლექსიის უნარები არც განათლების სისტემამ გამოუმუშავა და არც ოჯახმა. ეს ხალხი მარტივი პატერნებით იკვებებოდა. შეუძლებელია, ამ ასაკის




ადამიანები თავიდან გაანათლო. ალბათ, მათ თავი უნდა დავანებოთ და ვიცოდეთ, რომ გაუნათლებელი ხალხიც გვყავს. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამაც“ განათლების და კულტურის იგივე სისტემა დატოვა. საოცარია, მაგრამ 30 წელია, ჩვენი ხელისუფლებები ერთსა და იმავე სისულელეს აკეთებენ, ქვეყანა კი მაინც არსებობს.

**— ბოლოს მზეთუნახავზეც გკითხავთ, რომელმაც, დაჩაგრული ვარო, განაცხადა...**

— მაგას ციხეში თუ გადაიყვანენ, იქ „პრაგულკები“ ექნება და მზესაც დაინახავს. ვერ ვხვდები, რატომ ურჩევნია სანატორიუმში ყოფნა. იქვე საბავშვო მოედანსაც თუ გაუკეთებენ, თავისი სასრიალოებით, გაერთობა კიდეც...

**თამარ შველიძე**

# ჩვენ გლობალური და გეოეკონომიკური დაპირისპირების ეპიცენტრში ვართ



(დასასრული. დასაწყისი „სგ“ N8)

**— ბატონო იური, მამუკა ხაზარაძემ აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს ჩინური ინვესტიციების შეკავება და ამერიკულით ჩანაცვლება, ანუ ანაკლიაში აშშ-ის ინვესტიცია უნდა დაბრუნდესო. ჩვენ გვახსოვს ტრამპის პირველი პრეზიდენტობის დროს პომპეოს ვიზიტი საქართველოში და პორტთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება. რამდენად შესაძლებელია ამერიკული ინვესტიციის დაბრუნება ანაკლიის პორტის მშენებლობაში (საერთოდ თუ არსებობდა ასეთი ინვესტიცია?) საუბრობენ, რომ სენატში ინიცირებული პროექტი აშშ-სთან საქართველოს სტრატეგიული ურთიერთობის გადატვირთვას შეუწყობს ხელს. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამასთან დაკავშირებით? სატრანზიტო შესაძლებლობებმა შესაძლოა დააინტერესოს აშშ, რათა მასთან სტრატეგიული ურთიერთობა გადაიტვირთოს?**

—მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე რას იტყვიან, ამას დღეს მნიშვნელობა და მოვლენების განვითარებაზე გავლენა უკვე არ აქვს. ისინი ინტრიგებში ჩარჩნენ. მათ ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელების რეალური შესაძლებლობა არ გააჩნდათ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ცდილობდა კაპიტალის მოზიდვას, თუმცა ეს ხაზარაძის პირობებით გუნდმა ვერ შეძლო. ანაკლიის პორტი მათ ხელში ეკონომიკურად მიმზიდველი არ იყო. ამერიკულ ინვესტიციას ანაკლიის პორტში პირდაპირი ჩართულობა არასდროს ჰქონია.** პროექტი **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“** მიისაკუთრა (მასზე, გაცილებით ადრე, ე. შევარდნაძემ, ტრანსნაციონალური მაგისტრალების გაჭრასთან ერთად დაიწყო მუშაობა დაახალი „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვან შემადგენლად განიხილავდა). ხაზარაძის პროექტის ძირითად ინვესტორებს წარმოადგენდნენ თიბისი ჯგუფი (მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე) და ამერიკული ჩონტი როუპ. მაგრამ, როგორც კი ამ უკანასკნელმა საფრთხეები დალანდა, 2019 წელს კონსორციუმი დატოვა. მისი ჩანაცვლება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების ფინანსურმა კორპორაციამ ან სხვა საინვესტიციო ფონდებმა მიზანშეწონილად არ მიიღეს. 2019 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ მართლაც განაცხადა, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოში თავისუფალ და გამჭვირვალე ინვესტიციებს. მან ისიც კი თქვა, რომ **ანაკლიის პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას და ტრანსატლანტიკურ კავშირებს, მაგრამ რეალური ფინანსური რესურსები პორტისთვის არ გამოყო.** მისი განაცხადი დარჩა როგორც პოლიტიკური, სხვებისთვის საყურადღებო ბევრი სხვა ქვეტექსტის შემცველი მხარდაჭერა. ამერიკის ინტერესი სატრანზიტო დერეფანში, შესაძლოა, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტის სახით დაბრუნდეს და ასე შეეცადოს, რუსეთისა და ჩინეთის გავლენის შესუსტებას გლობალურ ლოჯისტიკაში. ეს დამოკიდებულია სენატის გადაწყვეტილებაზე. ვნახოთ, რა განვითარებას მიიღებს ინიცირებული პროექტის მხარდაჭერა.

**— გიორგი ვოლსკიმ ამ თემაზე აღნიშნა, რომ ჩინური ინვესტიცია მოსახერხებელია, ამერიკა ყველგან გამარჯვებული ვერ იქნება. ჩინეთი ჩვენთან შუა დერეფნის პროექტის მთავარი გარანტორია. ასევე, ჩინეთის მიერ პორტის აშენება ნიშნავს ეკონომიკურ გარანტიებს. აშშ-ის მიერ პორტის აშენების შემთხვევაში, რა სარგებელი შეიძლება ნახოს საქართველომ?**

— გიორგი ვოლსკი ამ შემთხვევაში საკითხს პრაგმატული მოსაზრებით აფასებს და მე ამ პოზიციას ვიზიარებ. ეს პროექტი საქართველოსთვის სტრატეგიულად მართლაც მნიშვნელოვანია. მას უფრო ეკონომიკური მიზანშეწონილობა გააჩნია და ეს უნდა შეუნარჩუნდეს. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ამერიკულ ინვესტიციაზე, მის პოზიტიურ შედეგებზე, მივაწეროთ მას ქვეყნის უსაფრთხოების მყარი გარანტიებით უზრუნველყოფის გამართლება, დასავლური კურსის გამყარების, კავშირებში თუ ალიანსებში ინტეგრაციული პროცესების დაჩქარების შესაძლებლობა და სხვა ბევრი პროპაგანდისტული სარგებელი, მაგრამ ეს ამ პროექტის მხოლოდ პოლიტიკურ მნიშვნელობას და დაპირისპირებას გაზრდის. საქართველო მთლიანად დამოკიდებული გახდება დასავლეთის ნება-სურვილზე. ნატოში გაწევრიანება კი არასდროს მოხდება (ეს ახირება თავიდანვე მცდარი და დამღუპველი მუხტის მატარებელი იყო), ევროკავშირში გაწევრიანებაც მხოლოდ სატყუარაა, რადგან ის საქართველოს მიერთებამდე დაიშლება. ევროკავშირში არაეფექტიანი მმართველობის გამო, იმდენი გადაუჭრელი პრობლემა დაგროვდა, რომ მას განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია.

**— დღეს ერთ-ერთი მთავარი თემა წიაღისეულზე შეთანხმებაა. აღსანიშნავია, რომ მინერალები ცენტრალურ აზიაშიც არის, რომლის დასავლეთისკენ ტრანსპორტირების, გატანის მნიშვნელოვანი გზა ანაკლიის პორტზე გადის. ამ მხრივ შესაძლოაგამოიჩინოს აშშ-მა დაინტერესება?**

— დიახ, აშშ-მა ეს, შესაძლოა, აშკარადაც გამოხატოს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური აზია მნიშვნელოვანი მინერალური რესურსების წყაროა, ხოლო საქართველოზე გამავალი ტრანსნაციონალური მაგისტრალები და ანაკლიის პორტი კი, ერთ-ერთ მთავარი სტრატეგიული მარშრუტი მისი დასავლეთისკენ ტრანსპორტირებისთვის.



**— როგორც იკვეთება, ჩინეთთან დაპირისპირება იქნება ტრამპის პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი? რუსეთთან მიმართებით ტრამპის შეცვლილი რიტორიკაც, ალბათ, ამით აიხსნება. რას გამოიწვევს ტრამპის მიერ დაანონსებული სატარიფო ომი, რაზეც ჩინეთმა უკვე უპასუხა, რომ სატარიფო იქნება, სავაჭრო თუ სხვა, მხად ვართ, ბოლომდე ვიბრძოლოთ. რა გავლენა ექნება ტარიფების ომს ეკონომიკაზე?**

— ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად ჩინეთი უფრო დიდი გამოწვევაა ამერიკისთვის, ვიდრე რუსეთი. ტრამპი კარგად აცნობიერებს, რომ გლობალური ლიდერობისთვის მთავარი სამიზნე ეკონომიკური ინტერესებია და არა სამხედრო დაპირისპირება. ტრამპის რბილი რიტორიკა რუსეთთან მიმართებაში აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესებისა და ჩინეთის იზოლაციის სტრატეგიის ნაწილია რუსეთ-ჩინეთის ალიანსის შესასუსტებლად. ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა პროტექციონისტულია - ამერიკული წარმოების ხელშეწყობას და იმპორტის შეზღუდვას ემყარება, რაც ტარიფებითა და სანქციებით უნდა გადაწყვიტოს. ეს აუცილებლად გამოიწვევს იმპორტირებული პროდუქციის გაძვირებასა და ინფლაციას. ტარიფებით ომს ამერიკული წარმოების მხოლოდ დროებითი კონკურენტუნარიანობის გამყარება შეუძლია, ჩინეთში მოქმედ ამერიკულ კომპანიებს, ასევე, ამერიკაში მოქმედ ჩინურ კომპანიებს სირთულეები შეექმნებათ და მოუწევთ საწარმოების გადატანა ინდოეთში, ვიეტნამში და სხვა ქვეყნებში, რაც **გლობალური ვაჭრობის სტრუქტურას შეცვლის**. სხვა გონივრული მოსაზრება, ალბათ, არც არის, რომ ტრამპის დაანონსებული სატარიფო ომი **მსოფლიო ეკონომიკაზე, პლანეტის მოსახლეობის ყოფით პირობებზე უარყოფითად იმოქმედებს,** განსაკუთრებით **ამერიკელი და ჩინელი მომხმარებლები დაზარალდებიან**. თუმცა ყოველთვის მოინახება პრობლემისთვის გვერდის ავლის სხვა გზა. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს შეიძლება **გლობალური სავაჭრო წესრიგის ცვლილებისა და ახალი რეგიონული ალიანსების ჩამოყალიბების წინაპირობა გახდეს**.

ზოგადად კი, უნდა შევნიშნო (აზრს ვერავინ შემაცვლევინებს), რომ ყველანაირი სანქცია, ტარიფებით მორჩილების მოთხოვნა, დაპირისპირების გაძლიერებაა მხოლოდ, მხარეთა წარმომადგენლების სისუსტე და სიბრიყვე, მოლაპარაკების უუნარობა, პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ცუდი გზა, რაც მთავარია, საკუთარი მოსახლეობის მიმართ სიძულვილის გამოვლენა, მათი ყოფის გაუარესება, საარსებო რესურსების გაძვირება და საკუთრების ხელყოფაა. ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც ამ ძიგძიგს მოჰყვება, უფრო გააუარესებს მოსახლეობის მდგომარეობას, თუ მისი საფუძველი კვლავ სანქციებით, ტარიფებით ომი და დაპირისპირება გახდება. ყველას გასაბრუებლად არის გაცხადებული, რომ **სასანქციო პოლიტიკის მიზანი ურჩი ქვეყნების და ადამიანების ქცევაზე ზემოქმედება, მათი მორჯულებაა**. სინამდვილეში, არავის უნახავს და არც არსებობს ვინმე ან რომელიმე ქვეყანა, რომლის შეხედულება ან საგარეო კურსი ასეთ ამჩატებას შეეცვალოს.




**— ჩინეთს და რუსეთს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ. ვაშინგტონმა რით შეიძლება მოსკოვი დააინტერესოს? რამდენად შესაძლოა, ამ დროს პეკინი და ბრიუსელი დაახლოვდნენ ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების კუთხით და რას უნდა ველოდეთ ამ ყველაფრისგან?**

— ამ ეტაპზე ვაშინგტონისთვის რთულია მოსკოვის დაინტერესება ისე, რომ რუსეთმა ჩინეთთან კავშირები შეასუსტოს. რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობას მყარი საფუძველი აქვს. შესაძლოა, ვიფანტაზიოროთ და დაინტერესების რამდენიმე ვერსიაზე ვიმსჯელოთ, მათ შორის, სანქციების შემსუბუქებაზე, გარიგებებზე უკრაინასთან მიმართებაში ან ენერგეტიკული რესურსების გადანაწილების შეთანხმებაზე. მაგრამ ეს ყველაფერი რთული განსახორციელებელია. უფრო ადვილია პეკინისა და ბრიუსელის ურთიერთობების დალაგება ინტერესთა სიახლოვის გამო, მაგრამ აქაც ამერიკის პოზიცია იქნება გადამწყვეტი.

მსოფლიოს დამშვიდების საუკეთესო მოდელია მრავალპოლუსიანი, ღია, კაცობრიობის კეთილდღეობაზე მიმართული გარიგებებით, ერთმანეთთან მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობებით დაკავშირებული ქვეყნების თანაარსებობა და ადამიანების კეთილგანწყობილი თანაცხოვრება, მაგრამ ეს ამ სიძულვილით გადავსებულ სამყაროში ძნელი წარმოსადგენია.

**თამარ შველიძე**



# საქართველო, დატოვე ჯანმო!!!

**6 მარტს პარლამენტში შევიდა პეტიცია მოთხოვნით, რომ საქართველო ჯანმოდან გამოვიდეს. საქართველოს მოქალაქეები ერთმანეთის გვერდზე დგომისთვის ერთმანეთს ვუხდით მადლობას, ხოლო ხელმოწერების შეგროვებისთვის განსაკუთრებული მადლობა: თინა თოფურიას, თინა გოცაძეს, ნინო რევაზიშვილს, თემო ბოკელავაძეს, მანანა გლუნჩაძეს, ლერი ჯალაბაძეს, ნინო აქიმიშვილს, არჩილ იანვარაშვილს. როდესაც პეტიციის განხილვა ჩაინიშნება, გაცნობებთ.**

(დასასრული. დასაწყისი „სგ" N8)

ამ თემაზე, აშშ-ში 2025 წელს ტრამპმა ატეხა განგაში, „საერთო გაზეთმა" კი 15 წლით გაუსწრო ამ საკითხში — 2010 წლის 8 აპრილს დაბეჭდა სათაურით – „პაპილომა ვირუსზე აცრილი პირველი 50 გოგონა, ყველა შემთხვევაში, საცდელი ბაჭია იქნება!" – რომლის ავტორიც მე გახლდით.

საუბარია 2010 წელზე: „სამედიცინო წრეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 21 ივლისიდან 13-14 წლის გოგონების ვაქცინაცია დაიწყება პაპილომა ვირუსზე. აცრის სრული კურსი სამი ვაქცინაა და საკმაოდ ძვირიც ჯდება, 1 ვაქცინა 500 დოლარი ღირს, თუმცა, აშშ-ის ჯანდაცვის სისტემის ხელშეწყობით, საქართველოში უფასოდ ჩატარდება. დაგეგმილია, რომ პირველ ეტაპზე ვაქცინაცია 50-მდე მოზარდს ჩაუტარდება. თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მამუკა ქაცარავას თქმით, აცრები ნებაყოფლობითი იქნება.

პაპილომა ვირუსი ვერაგი დაავადებაა, რომელიც თავდაპირველად კეთილთვისებიანი სიმსივნის სახით ვლინდება, თუმცა, ხშირი გაღიზიანების შემთხვევაში, შეიძლება საშვილოსნოს ყელის ავთვისებიან სიმსივნედ ჩამოყალიბდეს. ქართველი მედიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ პაპილომა ვირუსის პროფილაქტიკა მართლაც საშური საქმეა, თუმცა ზოგ მათგანს გარკვეული ეჭვები აქვს.

რამდენიმე თვის წინ „საერთო გაზეთისთვის" მიცემულ ინტერვიუში რესპონდენტმა გაიხსენა ცოტნე გამსახურდიას დაკავებასთან დაკავშირებით „კავკასიის" ეთერში სტუმრად მიწვეული მანანა არჩვაძის მიერ გახმაურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს პირველი ლედის, სანდრა რულოვსის პატრონაჟით განხორციელებილი პროექტი (საუბარია პრეპარატ „გარდასილზე," რომლის ავკარგიანობა მესამე რიგის ქალებზე გამოიკვლევა), რომელიც ქართველ ქალებში საკვერცხეების ჯანმრთელობისკენ მიმართული ღონისძიებად მოინათლა, სინამდვილეში, პირიქითაა, საქართველოში ქალების უშვილობის გამომწვევი პროექტი ხორციელდება და თავის მხრივ, დასძინა: „რატომაც არა! თუ გავითვალისწინებთ მასონურ გეგმას, რომ მსოფლიოსთვის 5 მლრდ ადამიანი საკმაოდ ბევრია, 1 მლრდ საკმარისია, სწორედაც რომ საჭიროა მსოფლიო დასნებოვნება, რომელსაც თან დაერთვება უშვილობა ორივე სქესში, ამავე მიზნით არატრადიციული სექსუალური კავშირების ფართო პროპაგანდა და ხელშეწყობა, რაც მთლიანობაში სასურველ შედეგს მოიტანს პროვოცირებულ ომებთან ერთად. მე არ ვიცი, რა სახის ჩარევები ხდება ამ შემთხვევაში, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ არსებობს აშშ-ის მრავალმილიონიანი პროგრამა, რომლის მიხედვითაც, კონტროლდება შობადობა ცალკეულ ქვეყნებში, ამდენად, ქალბატონი მანანას სიტყვები, ადვილი შესაძლებელია, სიმართლე იყოს."

ჩვენი სტუმარია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი თამარი, რომელმაც იმის გამო, რომ მოქმედი ექიმია, გვთხოვა, არ დაგვესახელებინა მისი გვარი და სამუშაო ადგილი.

— მხოლოდ რამდენიმე თვე გავიდა და მართლაც გამოჩნდა აშშ-ის „კეთილი ნება," რომ ქართველი მოზარდების საშვილოსნოს კიბოს პროფილაქტიკაზე იზრუნონ. მე გეკითხებით, რა ინტერესი აქვს მართლაც ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით არსებულ ჯანდაცვის სისტემას, თუ რაღაც ორგანიზაციაა, რომ ამხელა ხარჯი გაიღოს მესამე რიგის ქვეყნად ქცეული ქალების ჯამრთელობაზე?

მე ზუსტი სტატისტიკა არ მაქვს, მაგრამ დამალული არავისთვისაა, რომ სწორედ ამერიკელ ქალებს აქვთ უშვილობასთან დაკავშირებული პრობლემები. სამწუხაროდ, ყოველთვის და ყველა ქვეყანაში არიან „წინდახედული" ადამიანები, რომლებიც ვითომცდა თავს იზღვევენ, ისე რომ, მცირეოდენი ეჭვი არ შეაქვთ ვაქცინის წარმომავლობაში, რაობასა და შესაძლო შედეგებზე, ყველანაირ ვაქცინაციას ბრმად იტარებენ პროფილაქტიკის მიზნით.

ახლა, როდესაც პაპილომა ვირუსის შესახებ დაიწყო საუბარი, გოგონების მშობლებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გაუჩნდათ მის მიმართ, თუმცა ეს გამოწვეულია ქართული ხასიათით და არა რაიმე ეჭვის გამო. ზოგი კატეგორიულად გამორიცხავს საკუთარი გოგონას აცრას, მოტივი ასეთია, ეგებ, არ ემართება ეს საშვილოსნოს კიბო და, წინასწარ რატომ ავცრაო, ზოგისთვის კი „მუქთა იყოს და კუბოც კარგია."

ახალი არაფერი იქნება, თუ ვიტყვი, რომ საცდელ ვირთხებთან, ზღვის გოჭებთან, ბოცვერებთან, მაიმუნებთან, ძაღლებთან და ა. შ. საცდელი ადამიანებიც არიან, ძირითადად, პატიმრები, და მეტ-ნაკლებად ჯარისკაცები, გააჩნია, რა არის გამოსაცდელი. ეს „მშვიდობიანად," თორემ სამხედრო ტყვეებზე საუბარი ცალკე თემაა.

ამავდროულად, საკუთარი ხელისუფლებისაგანაც კი არაფრით ვართ დაცული რიგითი მოქალაქეები, პირიქით, — ვინ მეტყვის, ზუსტად რა დანიშნულების იყო 7 ნოემბრის აქციების დროს, საქართველოს შს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი რუსთაველზე „მოსეირნე" მანქანა, რომელზეც ლოკატორი, ე. წ. „თეფში" იყო დამონტაჟებული? რატომ გაუჩნდათ დარბეულ ადამიანებს ერთნაირი სიმპტომები, ენით აუწერელი შიში, ყურების ტკივილი და მეხსიერების დაბინდვა? სანამ მისი მწარმოებელი ქვეყანა საქართველოს ხელისუფლებას ჩაუგდებდა ხელთ იმ დანადგარს, ის ხომ სადღაც, ვიღაცაზე გამოიცდებოდა, ანდა სულაც აქ გამოსცადეს — რას გაიგებ!...

„ალექსეევკის" დასახლებაში რომ ამერიკელების გასაიდუმლოებული ლაბორატორიაა დახურულ ზონაში, რას აწარმოებს, ვინმემ იცის? ამერიკის კონტინენტზე ადგილი ვეღარ ნახეს, აქ რომ არ ჩამომსხდარიყვნენ?

პაპილომა ვირუსის პროფილაქტიკა 13-იდან 26 წლამდეა მიზანშეწონილი, თანაც გოგონა ქალწული უნდა იყოს და, ეჭვს რომ არ იწვევდეს აშშ-ის „კეთილი ნება," მართლაც ძალიან კარგია, მაგრამ ჯერ გადმოგვცენ ვაქცინის მონაცემები, მედიკოსები გაგვარკვიონ, რა მასალაზეა დამზადებული, რა გვერდითი მოვლენები აქვს და ა. შ. ცნობისათვის გეტყვით, რომ მამაკაცია პაპილომა ვირუსის გადამცემი. ჯერ ისედაც როგორი საეჭვო ვითარებაა ჩვენთან წამლებთან მიმართებაში, ვადაგასულებს ხელმეორედ ფუთავენ, „ღორის გრიპის" შარშანდელი მონარჩენი წამლები აქ უნდა შემოიტანონ, თუ უკვე ჩამოტანილი არა, ამავდროულად, გვეუბნებიან, რომ შტამმა მუტაცია განიცადა, რის გამოც უფრო ძლიერად შემოგვიტევს და, ახლა ეს აცრა კიდევ!

პაპილომა ვირუსი ახალი არაფერია, ის რიგ შემთხვევაში უვნებელია, ზოგი ე. წ. „ბოროდავკა," მეჭეჭი, ზოგი კი იწვევს სიმსივნეს. მისი კავშირი სასქესო ორგანოების სიმსივნესთან გასული საუკუნის 70-იან წლებში იქნა შემჩნეული. მათგან 40-მა სახეობამ შეიძლება გამოიწვიოს ანოგენიტალური ტრაქტის დაზიანება (საქესო ორგანოები და ანალური ხვრელი).

ადამიანის პაპილომა ვირუსის 100-ზე მეტი სახეობაა აღწერილი, რომელიც შეიძლება თანდაყოლილიც იყოს და შეძენილიც. მისი გამომწვევი მიზეზი მრავალია, მათ შორის: ადრეულ ასაკში დაწყებული სქესობრივი ცხოვრება, ბევრი სქესობრივი პარტნიორი, ხშირი სქესობრივი კონტაქტი, პარტნიორი, რომელსაც ბევრი სქესობრივი კონტაქტი აქვს, ქლამიდიოზის, გონორეის, სიფილისის, ტრიქომონის, კანდიდოზის და მიკოპლაზმოზის გადატანა, მოწევა, რადგან თამბაქო შეიცავს მეტაბოლიტებს, რომლებსაც საშვილოსნოს ყელის ინფექციის გამოწვევა შეუძლია, კონტრაცეპტივების ხშირი მიღება, ასევე „ა," „ც," „პ-კაროტინის" და ფოლის მჟავას ნაკლებობა.




პაპილომა ვირუსი მხოლოდ ადამიანებში არაა, მისით ავადდებიან ცხოველებიც და ფრინველებიც, მისით დასნებოვანება კი სექსუალური კონტაქტის გარეშეც ადვილი შესაძლებელია აუზზე და სპორტდარბაზში. ახლა რა აღმოაჩინეს ახალი ამ ვირუსის სახით, ჩემთვის გაუგებარია.

თქვენ იცით, რომ ხორცის, თევზის და ფრინველის ხორცის დამნაწევრებლები მუდმივად შეწუხებულები არიან ხელის მტევნებზე და წინამხრის მიდამოებში პაპილომების წარმოქმნით, სილამაზის სალონებში კი მათი უმტკივნეულოდ მოცილება ხდება? — მაგრამ ეს საგანგაშოდ არავის ეჩვენება, რადგან ჩანს, ხილულია. ავთვისებიანი სიმსივნე ძლიერ დაჟეჟილობასაც შეუძლია გამოიწვიოს და, საერთოდ, „საშვილოსნოს კიბოს პროფილაქტიკა" ძალზე არასერიოზული განცხადებაა, არ არის მსოფლიო მედიცინა ჯერ იმ დონეზე, რომ კიბო წინასწარ დაამარცხოს.

ვეძიე, მაგრამ ვერსად მივაკვლიე ამ ვაქცინის შემქმნელთა ჯგუფს, ამიტომ არავის ვურჩევდი, შვილი აეცრა ამ ვაქცინით. თვის ბოლოსთვის ვარაუდობენ მის რეალიზებას და, პირადად მე ვთვლი, რომ ის პირველი 50 გოგონა, ყველა შემთხვევაში საცდელი ბაჭია იქნება. ყველაზე საუკეთესო ვარიანტში, შეიძლება, მართლაც საცდელი ვაქცინა იყოს საშვილოსნოს ყელის კიბოს საწინააღმდეგოდ, ყველაზე უარესში — უნაყოფობის გამომწვევი. თუნდაც ლიბიდოს აქვეითებდეს, სახარბიელოა?

რა ემართებოდათ სკოლის მოსწავლეებს ორი წლის წინ გაურკვეველი ორგანიზაციის მიერ შემოტანილი ყბაყურას ვაქცინის შემდეგ, დაგავიწყდათ? თან სავალდებულოდ რომ გამოაცხადეს და მშობლებს ხელწერილების დაწერა უწევდათ დირექტორის სახელზე, რომ წინააღმდეგი იყვნენ შვილის აცრის.

გაიგეთ, წამლის მსოფლიო მაფია რეალურია!

პაპილომა ვირუსზე დაწერილებით საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ უახლესი ინფორმაციით დავასრულებ და დასკვნა ყველამ თვითონ გამოიტანოს, — უზბეკეთში ადამიანის უფლებათა დამცველებმა და გაერო-ს წარმომადგენლებმა ქალთა იძულებითი სტერილიზაციის უამრავი ფაქტი აღმოაჩინეს. უზბეკეთის ჯანდაცვის სამინისტროს განკარგულებაში წერია, რომ სტერილიზაცია ნებაყოფლობითი და უფასოა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ, ხშირ შემთხვევაში, პაციენტებმა არ იცოდნენ, რომ ექიმები სტერილიზაციას უკეთებდნენ და სამუდამოდ კარგავდნენ შვილის ყოლის ყველანაირ შანსს. ახლა მე გეკითხებით, რატომ უნდა მქონდეს ამ უმსგავსო, ყოვლად ანტიეროვნული ხელისუფლების იმედი, რომ რაღაც საშინელება არ დევს მისი პირდაპირი მოკავშირის, აშშ-ის „კეთილ ნებაში," აქამდე ხომ ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებია ზუსტად იმავე ქართველი ახალგაზრდებისთვის?"

9 გვ.

# მინდა, ჩემი ფილმებით ქართველი კაცი მთელ მსოფლიოს შევაყვარო



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე:*

14 მარტს კინოს სახლში კინორეჟისორ ლევან ანჯაფარიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ბატონი ლევანის ფილმების კოლაჟს მაყურებელი გულგრილი არც ამჯერად დაუტოვებია. საღამო კლიპის „არა — ომს“, პრემიერით დასრულდა, რომელიც რეჟისორის ლექსის „ახედე ცას“ მიხედვით გადაიღეს. კლიპში გარდაცვლილი მეუღლის გამოჩენას დარბაზში მყოფი მაყურებელი განსაკუთრებული ემოციებით შეხვდა. ლევან ანჯაფარიძე საკუთარი გრძნობების შესახებ „საერთო გაზეთს“ ესაუბრა:

— ყველაზე დიდი ჯილდო, რაც კი ოდესმე მიმიღია, მაყურებლის სიყვარულია. არაერთი საერთაშორისო პრიზის მფლობელი ვარ, მაგრამ ქართველი მაყურებლის სიყვარულს ვერაფერი შეედრება. სწორედ ეს მაცხოვრებს, მასულდგმულებს და ძალას მაძლევს, რათა კვლავ და კვლავ ახალი ფილმები გადავიღო. თავად ხართ მომსწრე, რაოდენ დიდი სიყვარული სუფევდა ამ დღეს ჩემს შემოქმედებით საღამოზე, რამაც დიდი სიხარული მომანიჭა.

**— მაყურებელმა თქვენი ფილმების კოლაჟი იხილა. დღეს რა გაქვთ სათქმელი? თქვენი ფილმები სხვადასხვა თემატიკას ეხება, მათ შორის, ომს, სოციალურ პრობლემებს. ახლა რომ ფილმს იღებდეთ, რას მიუძღვნიდით?**

— რა გითხრათ, ბევრი დოკუმენტური ფილმი მაქვს გადაღებული, მათ შორის, 26 მაისზე, 7 ნოემბერსა და თუკი რამ მომხდარა, ყველაფერი ფირზე მაქვს აღბეჭდილი. დღევანდელი გადმოსახედიდან მიმაჩნია, რომ ქვეყანას მხოლოდ და მხოლოდ თანადგომა სჭირდება. ყველა ფილმში ჩემი მთავარი სათქმელი სიყვარულია. ყველა ფილმში, რა თემატიკაზეც უნდა მქონდეს გადაღებული, უფალზე, სიყვარულზე და ადამიანურ სითბოზეა საუბარი. დღეს, ალბათ, ისეთ ფილმს გადავიღებდი, სადაც ვაჩვენებდი, რომ ერთიმეორის სიძულვილი, რაც ახლა ხდება, დამღუპველია. ყველაზე დამთრგუნველი ჩემთვის ძალად შემოგდებული ურთიერთის სიძულვილია, რასაც ძალიან განვიცდი. მსგავსი არასდროს მომსვლია, მაგრამ ქუჩაში ვინმემ ხელი რომ არ ჩამომართვას, ისეთი ემოციური ვარ, შეიძლება, გული გამისკდეს. ამიტომ ახლა სიამოვნებით გადავიღებდი ფილმს სიყვარულზე, ადამიანურობაზე. ამჟამად ერთი პროექტი მაქვს, კერძოდ, საფრანგეთიდან არის დაინტერესება. გაგიმხილთ, რომ დღევანდელი სუპერვარსკვლავი ქალბატონი დაინტერესებულია, რომ ფილმი გადავიღო. მიმდინარეობს მოლაპარაკებები. იგი თვის ბოლოს სპეციალურად ჩამოდის ჩემთან შესახვედრად.

**— საღამოზე თქვენ აჩვენეთ ფრაგმენტი დოკუმენტური ფილმიდან, რომლის პრემიერაც მალე გაიმართება. გვიამბეთ ამ ფილმის შესახებ...**

— დიახ, ბოლოს გადაღებული დოკუმენტური ფილმი საზღვრისპირა რეგიონებზე, ოსურ მხარეზე, ჩვენს ნამდვილ სამოთხეზეა. ეს ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უბრწყინვალესი მხარეა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მადლიერი ვარ ქალბატონი ეკა მუხაძის (საღამოს წამყვანი), რომელმაც საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შემახვედრა. ამჯერად ფილმი კონკრეტულად სამი სოფლის შესახებ გადავიღე. კიდევ უამრავი სოფელია და მინდა, დოკუმენტური ფილმი თითოეულ სოფელზე სერიალების სახით გადავიღო. მინდა, იქ მყოფ ადამიანებს, რომელთა ცხოვრება მართლაც გმირობის ტოლფასია, ჩემი ფილმებით გვერდით დავუდგე. საოცარ რამეს გეტყვით: სოფელ ქვემო ჭალაში ვიყავი და გავოგნდი, როცა გავიგე, რომ არსებობს ოჯახი, სადაც ხუთი წმინდა ძმა მოღვაწეობდა. წარმოიდგინეთ, მსოფლიოში არ არსებობს ასეთი უნიკალური ფაქტი, რომ ერთი ოჯახიდან ხუთი ძმა წმინდანად იყოს აღიარებული. ეს ნამდვილი საოცრებაა, რაც ფირზეც აღვბეჭდე.

**— თქვენს საღამოზე კლიპის „არა — ომს!“ პრემიერა შედგა, რომელშიც თქვენი გარდაცვლილი მეუღლეც მონაწილეობს...**

— ჩემი შემოქმედებითი საღამო ასე არ უნდა დამთავრებულიყო. წამყვანს, ეკა მუხაძეს კლიპის პრემიერის შემდეგ ჩემს შემოქმედებაზე, გეგმებზე უნდა ესაუბრა, შემდგომ კი მიკროფონი დარბაზისთვის უნდა გადამეცა და ყველას თავისი შეხედულება გამოეხატა, მომფერებოდა. მაგრამ დიდ ეკრანზე კლიპის ჩვენებამ, რომელშიც ჩემი გარდაცვლილი მეუღლე მონაწილეობს, გამანადგურა, ენერგია გამომაცალა და ეკას ვთხოვე, საღამო დაესრულებინა. სიმართლე გითხრათ, ერთი სული მქონდა, მეტირა. „არა — ომს“ ჩემი ბოლო ნამუშევარია ლელასთან ერთად, რომლის წვლილი ჩემს შემოქმედებაში უდიდესია. მან მთელი ის სიმძიმე იტვირთა, რაც ჩემს ფილმებს თან ახლავს. წარმოიდგინეთ, „მტერი ჩემი, ძმა ჩემის“ გადაღების დროს, ჯგუფი ბაზალეთის ტბაზე ვიყავით დაბანაკებული. ფილმისთვის სულ 70 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, სხვა ყველაფერმა ლელას ზურგზე გადაიარა. იგი მსახიობებს დღეში სამჯერ ასადილებდა. ჯგუფის წევრები ამბობდნენ: ძალიან დიდბიუჯეტიან ფილმშიც კი არ გვქონია ასეთი ყურადღება და სითბოო. ვინც მიცნობს, იციან, ლელა ჩემთვის ყველაფერი იყო. მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ 14 მარტს სცენაზე დავდექი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ისეთი მეგობრები მყავს, რომლებიც მუდამ გვერდში მიდგანან. თუნდაც საღამოს წამყვანი, შესანიშნავი მხატვარი ეკა მუხაძე. ზუსტად მან შეძლო, ფეხზე წამოვეყენებინე და ისევ სურვილი გამჩენოდა, ფილმები გადამეღო. სწორედ ჩემი მეგობრები მაძლიერებენ. მათ შორის, მინდა, თქვენც მოგეფეროთ, ყველა ჟურნალისტი მიყვარს, პატივს ვცემ. ჩემზე ცუდი არსად არასდროს არაფერი დაწერილა, რაც, ალბათ, ჩემი ცხოვრების მთავარი მონაპოვარია.

**— „მტერი ჩემი, ძმა ჩემი“ 2017 წელს გადაიღეთ. როგორც საღამოზე აღნიშნეთ, უკეთესს ვერაფერს გააკეთებდით გარდა იმისა, რომ საქართველოში ქართველს აფხაზისთვის აკვანი აჩუქებინეთ...**

— ამ მიწის გაყოფა არ შეიძლება. ჩვენ აფხაზეთს აუცილებლად დავიბრუნებთ და გავმთლიანდებით. სხვათა შორის, მე მაქვს სახალხო დიპლომატიის კონფლიქტური რეგიონების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „და იქმნა ნათელი“, რომლის პრეზიდენტი ვარ. ზუსტად ამ ფონდის დახმარებით გადავიღე ეს ფილმი, სადაც მეგობრობაზე და ჩვენს შერიგებაზეა საუბარი. ასევე, ამ ფონდის დახმარებით გადავიღე „ახედე ცას — არა ომს!“ ბოლო კლიპი და დოკუმენტური ფილმი საზღვრისპირა რეგიონებზე. ფონდის სახელწოდება „და იქმნა ნათელი“ იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ნათელი დადგება და ჩვენ ერთად ვიქნებით. ასე მწამს. ინტუიციით ვგრძნობ, რომ ქართველები და აფხაზები შევრიგდებით. ჩემი შემოქმედებით ერთმანეთს ათი ოჯახიც რომ დავაახლოვო, მათთან ერთად ვიმხიარულო თუ მწუხარებაში ვიყო, უბედნიერესი ვიქნები. ჩემი ამოცანაც ეს არის. ამ კუთხით სახალხო დიპლომატიას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ გვინდა, ტერიტორიული მთლიანობა მშვიდობიანად აღდგეს.

**— დარბაზში დიდი ემოცია გამოიწვია თქვენი დოკუმენტური ფილმიდან „მას საქართველო ჰქვია“, ფრაგმენტის ჩვენებამ...**

— ეს მართლაც უმძიმესი ფილმია. მისი გადაღება 2005 წლის ბოლოს დავიწყე, 7 ნოემბერი რომ მოხდა, გადაღება დასრულებული მქონდა, მაგრამ ფილმი გავხსენი და ეს კადრებიც ჩავამატე. ქართველ კაცს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რა გამოვიარეთ. ფილმის ჩვენებას ია მეტრეველიც ესწრებოდა. მე ვიცოდი, რომ იგი მოვიდოდა და მძიმე კადრები კოლაჟში არ შევიტანე. ეს კადრები ძალიან ემოციურია და იას გულისტკენას მოვერიდე. ამ ფილმზე მუშაობის შემდეგ სტუდია დამიწვეს. დიახ, სტუდია „აპერკოტი“, სადაც ეს ფილმია გადაღებული, დაწვეს, რითაც უამრავი პრობლემა შემექმნა ჯანმრთელობის, მორალური თუ სოციალური კუთხით. მაშინდელი ხელისუფლება — ან ფიზიკურად გკლავდა, ან მორალურად გსპობდა. მე ფიზიკურად მომსპეს, როცა ეს სტუდია დაწვეს, რადგან ამით ყველა საარსებო წყარო გადამიჭრეს. ღვთის შეწევნით და რამდენიმე მეგობრის დახმარებით, ამ მდგომარეობიდან გამოვძვერი. ამ ფილმიდან ფრაგმენტებს ჩემს უნებართვოდ იყენებენ, ზოგი თავის დოკუმენტურ ფილმებში ისე იყენებს, თითქოს მისი გადაღებული იყოს. ეს უსინდისობაა. ტელევიზიითაც ხშირად აჩვენებენ და არ უთითებენ, რომ ჩემი გადაღებულია. მინდა მათ მოვუწოდო: სანამ საავტორო უფლებებს ავაფრიალებ, გონს მოეგონ!

დღევანდელი გადმოსახედიდან ვხვდები, 2012 წელს რამხელა ზეწოლა ხორციელდებოდა ხელისუფლებაზე. ხალხი რეჟიმის გასამართლებას ითხოვდა, მაგრამ ხელისუფლებამ ამის გაკეთება ვერ შეძლო. ზეწოლები ახლაც გრძელდება. ქვეყანას ბევრი უსამართლოდ დასჯილი ადამიანი ჰყავს, მათ შორის, მეც მოვიაზრები. სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს. უბრალოდ, მინდა, სამართლის ურემმა უფრო სწრაფად იაროს.

**— კინოს პრობლემებსაც შევეხოთ...**

— ახლა კინოცენტრში რეორგანიზაცია ხდება. ადრე, კინოცენტრში მიმდინარე პროცესების გამო 15-დღიანი შიმშილობა მქონდა გამოცხადებული და მაშინ უწმიდესის თხოვნით, შიმშილობა შევწყვიტე. პატრიარქმა მითხრა: ლევან, შენ ფეხზე მდგომი, მტრისთვის გაცილებით საშიში ხარო. საქმე ის არის, რომ უკვე 25 წელია, რაც კინოცენტრი არსებობს და ერთხელაც არ მომეცა საშუალება, ფილმი ნორმალური ბიუჯეტით გადამეღო. ფილმების გადაღებაზე ნივთები — ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის ნახატები, ქამარ-ხანჯალი, მანქანაც კი, სახლიდან მიმქონდა. რაც მებადა, ყველაფერი ფილმების გადაღებას შევწირე.

კინოცენტრი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ხელმძღვანელობას ფავორიტი რეჟისორები ჰყავდა, რომლებიც წელიწადში ხუთ ფილმს იღებდნენ, რაც დიდი უსამართლობა იყო. როგორც ვახსენე, ახლა რეორგანიზაცია მიდის. მინდა ვირწმუნო, რომ ერთხელ მაინც გამიღიმებს ბედი, კონკურსში გავიმარჯვებ და ფილმს ნორმალური ბიუჯეტით გადავიღებ. თუმცა, მიმაჩნია, რომ მე კონკურსებში მონაწილეობა კი არ უნდა მჭირდებოდეს, არამედ სახელმწიფო შეკვეთას უნდა ვასრულებდე. ვიცი, მაგარ რამეს გავაკეთებ, ამისთვის საოცრად „მწიფე“ ვარ. რეჟისურა ისეთი პროფესიაა, რაც დრო გადის, მით მეტ გამოცდილებას იძენ. ასე რომ, წლები არ მაშინებს, მშვენიერ ფორმაში ვარ და მინდა, ქვეყანას ჩემი პროფესიით კიდევ გამოვადგე. ჩემი ამოცანაა, ჩემი ფილმებით ქართველი კაცი მთელ მსოფლიოს შევაყვარო. არიან რეჟისორები, რომლებიც პირიქით, სამყაროს ქართველ კაცს აზიზღებენ. იმედია, ის რეჟისორები, რომელთაც თავიანთი ქვეყანა უსაზღვროდ უყვართ, ჩემს ასეთ დამოკიდებულებას დააფასებენ.



ბიძები გენიალური რეჟისორები მყავდა: გია დანელია, გიორგი და ელდერ შენგელაიები (უფალმა დიდხანს გვიცოცხლოს!). დიდი სკოლა მაქვს გავლილი. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ჩემმა გვარიშვილობამ ცუდი სამსახური გამიწია, ყოველთვის მიზანში ვიყავი ამოღებული. პირველი ფილმი „ორმაგი სახე“ 30 წლის წინ გადავიღე, რომელიც ეკრანიდან დღემდე არ ჩამოდის. ეს ჩემთვის დიდი ჯილდოა. თუმცა, ფილმს აღდგენა სჭირდება, მას ფერი, ხმა დაკარგული აქვს. იგივე მდგომარეობაშია ამ პერიოდში გადაღებული სხვა ფილმებიც. ხუთი წლის წინ შეთავაზება მივიღე, ჩემი ფილმი ერთ-ერთ ფესტივალზე გამეტანა, მაგრამ ამ პრობლემის გამო ვერ გავაგზავნე. კინოცენტრმა ეს ფილმები თუ არ განაახლა, ისე ფესტივალზე ვერ გამაქვს. თუ ამაზე იზრუნებენ, კარგი იქნება.

თამარ შველიძე




# საქართველო, დატოვე ჯანმო!!!

7 გვ.

## აღიარება

სოციალური ქსელი „ფეისბუქი“, როგორც თავად მარკ ცუკერბერგმა განაცხადა, იძულებული იყო, მავანთა ინტერესის მიხედვით მოქცეულიყო. შესაბამისად, ზედოზით ვრცელდებოდა დეზინფორმაცია, მართალი სიტყვა კი იხშობოდა. ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ 25 მლნ ჯარიმის გადახდა კი მოუწია სასჯელის სახით ცუკერბერგს, მაგრამ ინფორმაცია, რომელიც მანამდე უნდა სცოდნოდა ხალხს, დაბლოკილი იყო.

პირადად მე, სანამ წაშლიდნენ, ზოგიერთი რამის გაცნობა-შენახვა მოვასწარი, მაგრამ ფაქტად იდო, რომ გამაფრთხილებელი ინფორმაციები მყისიერად იბლოკებოდა — ის იქით იყოს, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის დღიდან კოვიდპანდემიას „შეეშინდა“ და უკან დაიხია...

მაგალითად, ამ ინფორმაციას ვინ დატოვებდა: ayer-ის ფარმაცევტული განყოფილების პრეზიდენტის სტეფან ელრიხის მიერ სრულად დადასტურდა ეჭვები იმის შესახებ, რომ „მოდერნას“, „ფაიზერის“ და მსგავსი mR ინექციები, არ არის კორონავირუსის ვაქცინები.

დღეისათვის, აშშ-ისა და ევროპის მოქალაქეების, დაახლოებით 80% (მეტ-ნაკლებად) აცრილია პრეპარატით, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ვაქცინასთან.

შედეგი: დაავადების მორიგი ტალღა, რომელიც ყველა წინას მასშტაბით აღემატება.

პარადოქსი, ას არის, რომ ინფორმაცია mR პრეპარატების შესახებ თავიდანვე ღია იყო და ღიაა, კერძოდ, „მოდერნას“ ვებსაიტზე, რაც თავიდანვე უნდა გამხდარიყო სერიოზული შეკითხვების საფუძველი.

რაც შეეხება დასავლეთს — აღმოჩნდა, რომ დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეების დიდი უმრავლესობა საერთოდ არ არის მიდრეკილი, რომ დამოუკიდებლად ეძებოს პასუხები შეკითხვებზე და მზად არის, მორჩილად შეასრულოს ის, რასაც ეუბნებიან.

დასავლეთში პროტესტების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ვაქცინაციის წინააღმდეგ, ძირითად უკმაყოფილებას მკაცრი ანტიკოვიდური შეზღუდვები და აუცრელების უფლებების პრაქტიკულად სრულად შეზღუდვა იწვევდა.

აშშ-ში 2,5 მლნ დოლარს გადაუხდიან კოვიდ-ვაქცინით დაზარალებულებს, მაგრამ კოვიდ-ვაქცინით გარდაცვლილ ადამიანებს ვინ გააცოცხლებს? ან იმ დაზარალებულს ფული უშველის, როცა სამუდამოდ დაავადეს?

საქართველოში, ვინ გადაიხდის, იმნაძე, გამყრელიძე, კულუმბეგოვი, ჩხაიძე თუ ვინ? თუ ის მედიასაშუალებები, რეკლამას რომ უწევდნენ კოვიდ-აფერისტობას? — ბოდიში ახლა მაინც მოიხადონ! ექიმებს კი, იმის აღიარებასაც რომ არავინ სთხოვს, რომ ჰიპოკრატეს ფიცის უსირცხვილოდ გამტეხები კოვიდ-აფერისტობის მსახურები იყვნენ, ეს ცალკე გასაგიჟებელი ამბავია...

ახლაც რომ პაპილომა ვირუსის ვაქცინაციის რეკლამას ეწევიან, რაღა უნდა ვთქვა!

ახლახან რობერტ კენედი უმცროსმა სატელევიზიო ინტერვიუში იმ საშინელი ექსპერიმენტის შესახებ გვიამბო, რომელიც ფაუჩის ხელმძღვანელობით ჯანმო-მ აფრიკაში ფეხმძიმე ქალებზე ჩაატარა. მათ შიდს-ის დიაგნოზს უსვამდნენ და ვითომ იმისთვის, რომ დაავადება ნაყოფს არ გადასდებოდა, ტოქსიკურ წამლებს აძლევდნენ. ბევრ მათგანს შიდს-ი არ ჰქონდა. რეალურად, აკვირდებოდნენ, რამდენ ხანში დაიღუპებოდა ნაყოფი. „ფაუჩი ნამდვილი მონსტრია!“ — ამბობს კენედი, მაგრამ რა, ჯანმო-ს წესდებითა და ბაიდენის წინმსწრები ამნისტიით, ხელშეუხებელია!

ფაუჩისგან რით განსხვავდება ჰიპოკრატეს ფიცის ყველა სხვა გამტეხი, ნაკლები მონსტრები არიან?

რა ექსპერიმენტები ჩაატარეს კოვიდის მკურნალობის სახელით, წარმოდგენა შესაძლებელია...

ბევრ მათგანს შიდს-ი არც ჰქონდა.

ძალაუნებურად ცნობილი მასონის, ჟაკ ატალის სიტყვები მახსენდება: „მშიშრები, სულელები და იდიოტები თავისი ფეხით წავლენ სასაკლაოზე!“

როგორც აღმოჩნდა, „მშიშრების, სულელების და იდიოტების“ რაოდენობის დადგენა უნდოდათ, დაადგინეს და საკმარისი არ აღმოჩნდა. ასე რომ, „ოქროს მილიარდისკენ“ სწრაფვა საათითიაქო მაფიასთან ხმაშეწყობილად გრძელდება. ნუ იქნებით მორიგი „ბრიყვი ბაჭია“, მოაწერეთ ხელი პეტიციას ჯანმო-დან გამოსვლის შესახებ!

**საქართველოს ხელისუფლებავ, მიბაძე აშშ-ს, თქვი კიდევ ერთი „არა!“, გამოდი მსოფლიოს ამ საეჭვო და რეპუტაციაშელახული ორგანიზაცია ჯანმო-დან!**

**მაია ჭელიძე**

# მსოფლიოში ტრადიციულ ოლიგარქიას ტექნოკრატიული ელიტა შეცვლის

4 გვ.

შრომლობის ფორმატი გაღრმავდება. ისინი ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და ჰოკეის მატჩების გამართვაზეც კი საუბრობენ. ამიტომ ევროპისთვის სასიხარული არაფერი ხდება.

**— ბატონო ირაკლი, თურქეთში სტამბოლის მერის დაჭერას აპროტესტებენ. რა პროცესი მიდის?**

— თურქეთში მიდის ბრძოლა ხელისუფლებისთვის. ლიბერალურ მემარცხენე წრეებს თავიანთი კანდიდატის მოყვანა სურთ. როგორც ჩანს, ამაში დიდი ბრიტანეთის ინტერესიც დევს. ერდოღანი რუსეთის წინააღმდეგ ომში უფრო აქტიურად ჩართვაზე უარს ამბობს. მან ვექტორი შეცვალა და ის სირიისკენ გადაანაცვლა. ამ დროს ნატო-ს წევრი ქვეყნებისგან არსებობს ინტერესი, რომ შავ ზღვაში: ბულგარეთში, რუმინეთში, თურქეთში, ბალტიის, სკანდინავიის ქვეყნებში ვითარება გამწვავდეს და რუსეთთან მათი სამხედრო დაპირისპირება მოხდეს. თუმცა, ეს არარეალისტურია. ერდოღანი ამ სცენარზე არ წავა, რადგან მას რისკი გაცნობიერებული აქვს. ასეთი მასშტაბის კონვენციური ომი რუსეთისგან აუცილებლად ბირთვულ პასუხს გამოიწვევს. ეს ესმით ანკარაშიც, ამერიკაშიც, გარკვეულ ძალებს ევროპაშიც, მაგრამ ისინი დღეს ხელისუფლებაში არ არიან.

**— საქართველო რამდენად აქტუალურია თურქულ შიდა პოლიტიკაში?**

— თურქეთის ომის მიმართულებით ზედმეტი გააქტიურება საქართველოსთვის რისკების შემცველია. ამის მაგალითია პირველი მსოფლიო ომი, როდესაც საქართველოს მიმართულებით კავკასიური ფრონტი იყო გაშლილი და მასში 90 ათასი ქართველი მონაწილეობდა. რუსეთის იმპერიისთვის ეს ომი წარმატებული იყო. 1916 წელს ქართველებმა ტრაბზონიც კი ავიღეთ. ამ დროს სომხურმა შენაერთებმა, რუსეთთან ერთად, ყარსი აიღეს. მერე ამას რუსეთში რევოლუცია მოჰყვა. ჩვენ გადაბმული მშვიდობა გვჭირდება, რაც 2008 წლის მერე გვაქვს კიდეც, რაც ხელისუფლებამ უზრუნველყო, მეორე ფრონტის გახსნაზე გლობალური ომის პარტიისთვის სასტიკი უარის თქმით, რითაც ქართული ეროვნული ინტერესები დაიცვა. იმედია, მშვიდობა კიდევ ათწლეულები გაგრძელდება.

**— აშშ-ისა და საქართველოს ურთიერთობებსაც შევეხოთ. რამდენად წარიმართება ის ნორმალიზების კუთხით?**

— ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ურთიერთობა საქართველოსა და ამერიკას შორის კი არა, არამედ აშშ-ის გლობალისტურ-ლიბერალურ (ბაიდენის) ადმინისტრაციასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის გაფუჭდა. ვფიქრობ, ჩვენი და ამერიკის დღევანდელი ხელისუფლებები იდეოლოგიური მოკავშირეები არიან, რადგან ორივე ტრადიციული ფასეულობების დაცვის პოლიტიკას ატარებს, რაც უმნიშვნელოვანესია. ამიტომ **ტრამპის მხრიდან საქართველოს მიმართ რაიმე იზოლაციონისტურ, ზედმეტად აგრესიულ პოლიტიკას არ ველოდები**, რადგან მას ესმის, რომ ჩვენ გლობალური ნეოლიბერალიზმი დაგვიპირისპირდა. პირიქით, ჩვენი მხრიდან მეორე ფრონტის გახსნაზე უარის თქმა, ფასეულობებისთვის ბრძოლა, ტრამპს, მოსწონს. ამერიკა ისევე, როგორც ჩვენ, სამ ძირითად ბოძს ემყარება — ღმერთს, ოჯახს, სამშობლოს, რასაც ლიბერალები და სოროსის მიმდევრები ებრძვიან.

საქართველო დიდი ქვეყანა არ არის, ამიტომ ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებში ნამდვილად არ ვართ, მაგრამ ვფიქრობ, ნორმალური ურთიერთობები აღდგება. კონტაქტებიც ნელ-ნელა მყარდება. ჩემი რჩევა იქნება, აშშ-სთან პროექტულად ვიმუშაოთ. ანუ ცალკეული პროექტების სახით, შევეცადოთ მათი ლეგიტიმური ინტერესები გავითვალისწინოთ.

საქართველოს, როგორც რეგიონალური ფინანსური ჰაბის შეთავაზება, დროულია, რასაც ტრამპის ადმინისტრაცია შეიძლება ინტერესით შეხვდეს. ჩვენ ვიცით, რომ ტრამპის შემდეგი სამიზნე ფედერალური სარეზერვო სისტემა იქნება, რადგან „დიფ სთეითის“ პატრონები სწორედ იქ არიან მოკალათებულნი. მისი სამიზნე ბრიტანეთის ოფშორული იმპერია და სხვა ფინანსური ცენტრები იქნება, რომლებიც გლობალისტურ ინტერესებს ემსახურებიან. ასევე, ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც ლიბერალურ დღის წესრიგს მთელ მსოფლიოში აფინანსებენ. **ახალ ეკონომიკურ არქიტექტურაში და ფინანსური ნაკადების დალაგებაში საქართველოს შანსი აქვს, მინიმუმ, რეგიონული ფინანსური ჰაბის ფუნქცია მოიპოვოს**, რაც მილიარდობით დოლარის აქ ჩადებას ნიშნავს. ამის შემდეგ საქართველოს რეზიდენტი კომპანიები იაფი და გრძელვადიანი კრედიტებით ისარგებლებენ, რაც ჩვენს ეკონომიკას ააყვავებს.

**— ტრამპისა და ჩვენი ხელისუფლების ხედვები ემთხვევა, მაგრამ ევროპა საქართველოს მიმართ პოზიციებს არ ცვლის...**

— ლიბერალებთან მოლაპარაკება წარმოუდგენელია. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ევროპის ქვეყნებში კონსერვატიული და ტრადიციონალისტური ელიტების მოსვლას. ვფიქრობ, ევროპაზე ამერიკის ზეწოლა ტარიფებითა და სხვა მეთოდებით, გაძლიერდება. ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალურ დაძაბულობას, დესტაბილიზაციას გამოიწვევს, რასაც ხელისუფლებების შეცვლა მოჰყვება. ველოდები, ახალი პოლიტიკური პარტიების გაჩენას, რომლებიც მომავლისთვის იბრძოლებენ. **კლასიკური ტრადიციული ფინანსური ოლიგარქია პოზიციებს კარგავს და უფრო ტექნოკრატიული ელიტა მოდის**, რომელიც კრიპტოვალუტებზე, სოციალურ ქსელებზე, ციფრულ ტექნოლოგიებზე იქნება დაფუძნებული. **ეს ძველი პარადიგმის ჩანაცვლება, ანუ გლობალისტების ელიტის ცვლაა.**



**— თუ მშვიდობა არ დამყარდა, რა საფრთხე რჩება საქართველოს?**

— ტრამპის პრეზიდენტობის პირობებში, საქართველოს მეორე ფრონტის საფრთხე აღარ ემუქრება. თუმცა, ევროპაში მოკალათებულმა გლობალისტებმა შეიძლება დესტაბილიზაციის მცდელობა მოაწყონ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ხალხი მშვიდობის მომხრეა. ამიტომ მეხუთე კოლონას, რომელიც გლობალისტების ინტერსებს ემსახურება, არანაირი პერსპექტივა არ აქვს. **საქართველოს ახალ პარადიგმაში ძალიან კარგი მომავალი აქვს. ჩვენ ბიძინა ივანიშვილის სწორი გათვლებით, გამარჯვებულის მხარეს აღმოვჩნდით.** ამ გამარჯვებიდან ქვეყანა მნიშვნელოვან დივიდენდებს მიიღებს.

**თამარ შველიძე**



# ნარკოპოლიტიკის გამკაცრება მომავალი თაობის შენარჩუნებას ნიშნავს

*გვესაუბრება უფლებადამცველი, „პოლიტიკის და სამართლის ობსერვერის“ დამფუძნებელი* ***გრიგოლ გაგნიძე:***

**— ბატონო გრიგოლ, ხელისუფლებამ რიგი კანონები გაამკაცრა. როგორც აღინიშნა, ყველა კანონიდან ამოღებული იქნება ნორმები, რომლებიც საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ნჯო-ების მონაწილეობას ითვალისწინებდა. როგორ აფასებთ ამ ნაბიჯს?**

— სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, პირველ რიგში, პროცესების გამჭვირვალობას უწყობს ხელს. ბოლო თვეებში განვითარებული რადიკალური მოვლენებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ კანონების გამკაცრება გადაწყვიტა. ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს, რიგი ნჯო-ების ქმედებებმა რადიკალური ფორმები შეიძინა, რამაც ხელისუფლება აიძულა, ეს ნაბიჯი გადაედგა. ავიღოთ თუნდაც პოლიციელების შეურაცხყოფა. ნჯო-ების ჩართულობასთან დაკავშირებით, ხელისუფლების პოზიცია ნაწილობრივ მისაღებია, მაგრამ სრულად ვერ გავიზიარებ. ხელისუფლების თქმით, ნჯო-ებს შეუძლიათ, თუ სურთ, საკუთარი მოსაზრება წარმოადგინონ, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ვერ იაქტიურებენ.

რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები მართლაც გამჭვირვალობას და დემოკრატიული პრინციპების წინ წამოწევას ემსახურებიან. თუმცა, რადიკალურ ნჯო-ებს საზოგადოება არ ენდობა. სამწუხაროდ, კანონი თანაბრად ეხება მათაც, ვინც ხელისუფლებასთან კოორდინაციაში კონსტრუქციულად თანამშრომლობს. მაგალითად, ჩვენ შეიძლება ტელევიზიით არ გავყვირივთ, მაგრამ ხელისუფლებას რჩევადარიგებებს ვაძლევთ.

ჩემი აზრით, ხელისუფლებამ კანონები იმიტომ გაამკაცრა, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ გარკვეული პროცესების მანიპულირება არ მოახდინოს. ალბათ, რაღაც ფორმა უნდა გამოინახოს, რათა იმ არასამთავრობოებსა და ხელისუფლებას შორის, რომლებიც მასთან კონსტრუქციულ თანამშრომლობაში არიან, ურთიერთობა არ გაფუჭდეს. მე ვიცი, რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც ხელისუფლების მიერ ამ ნაბიჯის გადადგმის გამო მზად არის, იმ ნჯო-ებს შეუერთდეს, რომლებიც საერთაშორისო დაფინანსებებს იღებენ. მთავარია, ამ კონკრეტულმა გადაწყვეტილებამ პროცესების უკურეაქცია არ გამოიწვიოს. ევროსაბჭო აპირებს, რადიკალურ არასამთავრობო ორგანიზაციებს მრავალმილიონიანი გრანტები გამოუყოს. მე მაინტერესებს, რას სთავაზობს ხელისუფლება იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მასთან კონსტრუქციულ დიალოგში არიან. რამდენადაც ცნობილია, არის მცდელობები, ეს ნჯო-ები უცხოეთიდან დაფინანსებულმა ორგანიზაციებმა გადაიბირონ. ბევრი არასამთავრობო გაჩუმებულია და პროცესების განვითარებას ელოდება. ბევრს „ფარას“ კანონი საერთოდ არ აშინებს, რადგან გამოვა და იტყვის, თავისუფლებისთვის ვისჯებიო და მაშინვე „გმირად“ წარმოჩნდება.

**— ხელისუფლება „ფარას“ კანონსაც ამკაცრებს და მის სრულფასოვან ამოქმედებას გეგმავს...**

— ხელისუფლებას უნდა, იმ ორგანიზაციების აქტივობები, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან, მაქსიმალურად გააკონტროლოს. ნჯო-ების უმეტესობა ბალტიისპირეთის ქვეყნებში გადარეგისტრირდა და თბილისში დარეგისტრირებულ ორგანიზაციებთან ურთიერთობას იქიდან განაგრძობენ. არ ვიცი, ამას რა შედეგი მოჰყვება. როცა არასამთავრობო ორგანიზაციებს ახალისებ, მათ სხვადასხვა პროცესში ჩართულობას აფინანსებ, ეს მათთვის სტიმულია, ხოლო, როცა აქტივობებს უუქმებ, მათი მხრიდან ინიციატივები იკლებს.

„ფარას“ ანალოგიური კანონი, რომლის შემოღებასაც ხელისუფლება აპირებს, პატიმრობასაც ითვალისწინებს. ნჯო-ები, რომლებიც უცხოეთიდან მსხვილ დაფინანსებას იღებენ, როგორც „იუესაიდიდან“, ისე სხვა ევროპული ფონდებიდან, მზად იყვნენ, ჯარიმები გადაეხადათ და შემოსული თანხების მიზნობრიობა მაინც არ გაესაჯაროებინათ. შედეგად, ხელისუფლებამ კანონი გაამკაცრა. აგერ, უკვე ფონდებს, რომლებიც დამნაშავე პირების ჯარიმებს იხდიდნენ და ასევე, მომიტინგეებს პიროტექნიკითა და სხვა საშუალებებით ამარაგებდნენ, ანგარიშები დაუყადაღდათ. პროკურატურა საქმეებს იძიებს და შემოსული თანხების მიზნობრიობას სწავლობს. შემოდგომაზე თვითმმართველობის არჩევნებია და ეს, ალბათ, პრევენციული ღონისძიებაა რადიკალური აქციების აღსაკვეთად. ამჟამად აქციები მასიური ხასიათის არ არის, მაგრამ რუსთაველის გამზირი მაინც იკეტება. აქციების კუთხით ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის დაცული იყო ადამიანის უფლებები.

ხელისუფლებას გარკვეული ინფორმაცია აქვს და კანონის გამკაცრებით უნდა, თავის მოქმედებას ლეგიტიმაცია მისცეს. „ფარას“ კანონში არსებობს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, თუ პირი თანხას არ გაასაჯაროებს, იგი ჯარიმდება, მაგრამ სხვა ჩანაწერით, ხელისუფლებას შეუძლია,




5 წლამდე პატიმრობა გამოიყენოს, რაც ამერიკულ მოდელშია მოცემული. თუ დადგინდა, რომ ე. წ. აგენტი ისეთ ქმედებას ეწევა, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოებას და დამოუკიდებლობას ძირს უთხრის, მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიება განხორციელდება.

აქვე აღვნიშნავ, რომ ხელისუფლება აპირებს კანონმდებლობაში ღალატის და ცილისწამების მუხლების აღდგენას, რომლებიც სააკაშვილმა ქვეყნის სათავეში მოსვლისას გააუქმა. მედიასაშუალებების ნაწილი გამუდმებით სიცრუის ტირაჟირებას ახდენს და რეიტინგს ასე იწევს. 15-20 წელია, ცილისწამების გამო, ჟურნალისტების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დგება. არადა, ხშირია, როცა ცნობილ თუ სხვა პირებს სიცრუის ტალახში ხვევენ და ამისთვის მათ პასუხსაც არავინ სთხოვს. ცილისწამების მუხლს თუ გააცოცხლებენ, შედეგად, მედიასაშუალებები საზოგადოებისთვის ცრუ, ყალბი ინფორმაციის მიწოდებას მოერიდებიან. ამ კუთხით განსაკუთრებით ელექტრონული მედია გამოირჩევა. მათ იციან, რომ დღევანდელი კანონმდებლობით, დაზარალებული პირი სასამართლოში თუ იჩივლებს, საქმის განხილვას ექვსი თვე ან ერთი წელი დასჭირდება. ეს საკმაოდ დიდი დროა და ბევრ ადამიანს არ უღირს, სამოქალაქო სასამართლოს მიმართოს. ცილისწამების მუხლი თუ აღდგება, მისი აღმოფხვრა უფრო ეფექტიანად მოხდება.

სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი რომ გახდა, ნჯო-ების ფართო სპექტრთან რამდენიმე შეხვედრა გამართა. მაშინ იგი მომხრე იყო, ცილისწამების მუხლი აღმდგარიყო, რადგან საარჩევნო კამპანიის დროს მასზე ოპოზიციის მხრიდან არაერთი თავდასხმა განხორციელდა. შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამერიკული დაფინანსების ქვეშ მყოფი ნჯო-ების გავლენის ქვეშ მოექცა და ეს საკითხი მიივიწყა. მინდა, მიხეილ ყაველაშვილს მივმართო, ეს საკითხი დღის წესრიგში დააყენოს და ამ თემაზე ნჯო-ებთან დისკუსიები გამართოს. დღეს მედიასაშუალებები აღვირახსნილ კამპანიას აწარმოებენ, რაშიც უცხოურ დაფინანსებას იღებენ.

**— რამდენიმე დღის წინ პროკურატურამ დააყადაღა ფონდები, რომლებიც მომიტინგეების ჯარიმებს იხდიდნენ და დესტაბილიზაციას უწყობდნენ ხელს...**

— დიახ, გავრცელებული ინფორმაციით, ამ თანხებით ხდებოდა მომიტინგეების პიროტექნიკით მომარაგება, რამაც ადამიანების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა, — პოლიციელებიც დაზიანდნენ და მოქალაქეებიც. პიროტექნიკას თავისი დანიშნულება აქვს, მისი გამოყენება ადამიანის სიცოცხლის მოსასპობად, დანაშაულია. საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდნენ, რა სახსრებით, რომელი ფონდების მეშვობით ხდებოდა პიროტექნიკის შეძენა. ფონდი თუ რეალურად ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, ხელისუფლება ამას ყოველთვის ითვალისწინებს. მაგრამ იგივე ფონდი თუ შეეცდება ამ თანხებით აქციების დაფინანსებას, ახალგაზრდების წაქეზებას, რათა მათ პოლიციელს ზიანი მიაყენონ, ეს ყოვლად დაუშვებელია. გინახავთ, როგორ აკავებენ ამერიკაში პოლიციელები მოქალაქეებს? — შეიძლება პირმა სათამაშო იარაღი ამოიღოს, მაგრამ თუ პოლიციელს ის ნამდვილი ეგონება, იქვე მოკლავს. იქ ბევრად მკაცრი კანონებია. ზოგ შტატში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე, დღემდე სიკვდილით დასჯის მუხლი არსებობს, მათ შორის, ნარკომოვაჭრეების მიმართაც. კანონის გამკაცრებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ პოტენციური დამნაშავე დაფიქრდეს. მაგალითად, ნარკორეალიზატორი დაფიქრდეს, რა მოელის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

**— ნარკოპოლიტიკა საქართველოშიც მკაცრდება, ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ ლიბერალურმა ნარკოპოლიტიკამ არ გაამართლა...**

— დიახ, არ გაამართლა. ხომ გახსოვთ, „გირჩმა“ ამორალური ქმედება რომ ჩაიდინა და „დედაენის“ ბაღში „მარიხუანას“ ნერგი მიიტანა. მაშინ უფლებადამცველებმა სახელმწიფო კანცელარიასთან აქციაც გავმართეთ, სადაც ნარკოლიბერალიზაციას ვეწინააღმდეგებოდით. წუხილს გამოვთქვამდით, რომ ეს ყოველივე ნარკომოვაჭრეებს წაახალისებდა და სავალალო შედეგებს მივიღებდით — მოიმატებდა აღრიცხვიანობა და ა. შ.

2015-16 წლების სტატისტიკით, ნარკოკლინიკებში 150 ათასამდე მოქალაქე იყო აღრიცხული. როცა ხელისუფლება ნარკოპოლიტიკის კანონს ამკაცრებს, ეს კარგია, — ვინც მომავალში დანაშაულს ჩაიდენს, ეცოდინება, რომ მკაცრი სასჯელი მოელის, მაგრამ ვინც ნარკოლიბერალიზაციის მსხვერპლი გახდა, მათი რესოციალიზაცია როგორ უნდა მოხდეს, ამაზე ჯერ არაფერი თქმულა. საპატიმროები ნარკორეალიზატორებით გაივსება. კვარტალში 50-60 გამსაღებელს აკავებენ, ციხეში მათი რჩენა გარკვეული ოდენობის თანხები ჯდება. ყველას პირდაპირ ციხეში ჩასმა ხელისუფლებისთვის დიდად მომგებიანი არ იქნება. თუმცა, ასე შეიძლება ის მომავალი თაობა გადავარჩინოთ, რომელიც სკოლას ახლა ამთავრებს. აქვე უნდა გააქტიურდეს ჯანსაღი ცხოვრების წესის აგიტაცია, რისი ხელშეწყობაც მუდმივად უნდა ხდებოდეს. ბოლო პერიოდში ხელისუფლებას უცხოური დახმარებები შეუწყდა, რაშიც შესაძლოა, პატიმრების რესოციალიზაციაც იყო გათვალისწინებული. ციხე ის ადგილი არ არის, სადაც პატიმარი 100%-ით გამოსწორდება. როცა ხელისუფლება კანონს ამკაცრებს, გათვლილი უნდა ჰქონდეს, რა რესურსებით ჩაანაცვლებს საერთაშორისო დაფინანსებებს.

**თამარ შველიძე**



# ლიბერალური ბოროტება

## ხელსაყრელი პაუზა

ამ ფონზე საქართველოს მმართველ გუნდს დასცინიან, ყვარყვარესავით არიან, ჯერ აკვირდებიან, რომელ მხარეს გადაიწევა სასწორის პინა და შემდეგ გადაწყვეტენ, რომელი დროშაააფრიალონო და აბრალებენ, მხოლოდ იმაზე არიან გაფაციცებულები, რომ ანტიამერიკანიზმი გაალღვივონ რუსეთის გასახარადო.

ახლახან დაწერა ამერიკულმა კონსერვატიულმა გამოცემა **merican Thinker**-მა, არაფერი შეგეშალოთ, საქართველო პრორუსული ქვეყანა არ არის, მას დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ აქვს რუსეთთანო, მაგრამ ამჯერად ეს გვერდზე გადავდოთ.

დიახ, „ქართული ოცნება“ ნახევარ ნაბიჯებს დგამს და ამის გამო მათ მიმართ წერილობითი შეძახილებით დავიღალე უკვე, მაგრამ მე იმ იდიოტურ კანონებზე და ხელშეკრულებებზე ვყვირი, რომლებიც თავს მოახვიეს, და არა მათ რაციონალურ ნაბიჯებზე.

მაგალითად, ხელისუფლების ინიციატივით, საქართველოში მოქმედი ყველა კანონიდან, ტერმინებს — „გენდერი“ და „გენდერული იდენტობა“ ამოიღებენ. კანონში ჩანაწერი „გენდერული საკითხები“ შეიცვლება ჩანაწერით „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხები“; ტერმინი „გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობა“ იცვლება „ქალისა და მამაკაცის თანასწორობისადმი შეუწყნარებლობით“; გენდერულად მგრძნობიარე“ შეიცვლება სიტყვებით „სქესის ნიშნისადმი მგრძნობიარე“ და ა. შ. ვის იგდებენ მასხრად, ეს პატივცემულები, საზოგადოებას თუ კონკრეტულად მამრობით სქესს?! თუ კანონების არსი არ შეიცვალა, დასახელების შეცვლით რა იცვლება?

ქალთმოძულეობა მიზოგინიაა და მაშინ ამ მიმართულებით უნდა წავიდეს კანონი!

მიზანდრია კაცთმოძულეობაა და რატომ არ გვაქვს კანონში, რომ კაცები დავიცვათ კაცთმოძულე ქალებისგან, რა იყო, კაცების დაჩაგვრა გვაქვს დავალებული გათხოვილი კაცებისგან?

ხელისუფლებავ და კანონშემოქმედებო, კარგად დაუფიქრდით! — არსებობს მიზოგინია და მიზანდრია. თქვენი კანონები იცავს მიზანდრებს და მაქსიმალურად ჩაგრავს ჩვეულებრივ, ბიოლოგიურ მამაკაცებს. ვერ ხვდებით, რომ მამაკაცთა სქესისგან სხვადასხვა მიზეზთა გამო უარყოფილი ქალების შურისძიების ტყვეები ხართ?

ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ეს ყურით მოთრეული სიტყვა „გენდერია“ ჩაკვეხებული, ქალების სიძულვილი არაფერ შუაშია. ქალსა და მამაკაცს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, ქალი ბუნჩულაა თუ წუპაკი, ორივე შემთხვევაში, იმ „გენდერული ნიშნით“ დასჯილი მამაკაცისთვის, სქესს რა მნიშვნელობა აქვს, მას მოწინააღმდეგე მხარესთან სქესის გამო ხომ არ აქვს კონფლიქტი, საქმის არსის გამო აქვს, რაც, შესაძლოა, კაცთანაც მოხდენოდა.

სირცხვილია! დიახ, სირცხვილია, საქართველოში ქართველი კაცის დამცირება გათხოვილი ევროპელი კაცებისა და უკაცოდ დარჩენილი ქალების მოთხოვნით! თუ კანონშემოქმედები კაცები არიან, კაცობა უნდა ეყოთ! — ქართველი ქალი ვამბობ ამას!

„ქართულო ოცნებავ“! თუ მართლა გინდათ საქართველოს დაბრუნება საქართველოში, ხელსაყრელი პაუზა გვაქვს კრებსითი დასავლეთიდან, გამოიყენეთ ეს დრო, გამოიყვანეთ საქართველო ყველანაირი „გლობალური სიგიჟიდან“!

გაუნათლებლობის შეცვლა გინდათ განათლებით? — ჩაეხსენით „ბოლონიის პროცესს“!

ჯანმრთელი მომავალი თაობები გინდათ? — გამოიყვანეთ საქართველო „ჯანმო-დან“!

გამოიყვანეთ საქართველო „გლობალური დათბობის სიგიჟიდან“!

გამოიყვანეთ საქართველო სტამბოლში მიღებული იმ სიგიჟიდან, რასაც „გენდერი“ დასდევს ყველა ბრუნვაში და საიდანაც პირველი თვითონ თურქეთი გამოიქცა, რადგან მიხვდა, რამხელა შეურაცხყოფას აყენებდა იმ თურქ კაცებს, რომელთა მხრებზეც თურქეთის სახელმწიფო დგას!

რაც შეეხება პოლიტიკურ სიდინჯესა და მოზომილ პოლიტიკურ ნაბიჯებს, დიახაც, სწორია — ალესილი სამართებლის პირზე მოზომილად და მსუბუქად უნდა იარო. როდესაც სსრკ იშლებოდა, საქართველო სწორედ სიდინჯისა და რაციონალიზმის უქონლობამ დააზარალა...

პოლიტიკურმა სიდინჯემ და წინდახედულებამ გვიხსნა რუსეთთან არაფრისმომცემ ომში განადგურებისგან და პირიქით, ხელი შეგვეწყო ყოველმხრივ. ომისმოყვარე გაერთიანების გარდა, ყველას სურვილი გაუჩნდა ყოველმხრივ მიმზიდველი საქართველოს სიახლოვისა.

ვისარგებლოთ ბოროტების პაუზით, ამოვუკვეთოთ საქართველოს ყველა მტერს ერთად ქვეყნიდან ფეხი და არასოდეს შემოვუშვათ ეს და მისი მსგავსი ორგანიზაციები საქართველოში!

დაგვიანებამ რაც მოუტანა საქართველოს, სახეზეა: პოტსდამის კონფერენციაზე სტალინმა რომ ცნობილი სიტყვა წარმოთქვა და ისტორიული უსამართლობა ახსენა, რაც იმჟამად თურქეთის ტერიტორიაში შემავალი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებას გულისხმობდა, მყისიერად უნდა მიეღო გადაწყვეტილება. მაშინ 1945 წლის ზაფხული იყო. 1952 წელს თურქეთი უკვე ახალშექმნილ ნატო-ში მიიღეს და ისტორიული სამართლიანობის აღდგენამ ჩაილურის წყალი დალია.

ვინც ამ საკითხში, საქართველოს ხელისუფლების მიერ პოლიტიკურად სწორი ნაბიჯის გადადგმაში, „ცუდს“ ხედავს, ან მისი მონური ფსიქოლოგიის ბრალია, პოლიტუმეცრების, ან მხოლოდ ვერცხლისმოყვარეობის...

„ბრიქსი“ ანტიამერიკანიზმმა შექმნა, სხვა არაფერმა...

დაგვიანებამ რაც მოუტანა საქართველოს, სახეზეა: პოტსდამის კონფერენციაზე სტალინმა რომ ცნობილი სიტყვა წარმოთქვა და ისტორიული უსამართლობა ახსენა, რაც იმჟამად თურქეთის ტერიტორიაში შემავალი საქართველოს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებას გულისხმობდა, მყისიერად უნდა მიეღო გადაწყვეტილება. მაშინ 1945 წლის ზაფხული იყო. 1952 წელს თურქეთი უკვე ახლადშექმ-



ანტიამერიკულ განწყობებზე, — კოლონიალური განწყობები დიახაც, რომ უნდა დანგრეულიყო, საკმარისად ვიყავით კრებსითი დასავლეთის კოლონია და კარგად დავინახეთ, რომ საბჭოთა კავშირის 70-წლიან რესპუბლიკობას კარგის მეტი არაფერი მოუტანია, დასავლეთის 30-წლიანმა კოლონიობამ კი ყველანაირად დაგვშალა, სქესთა შორის განსხვავებაც კი დაიკარგა, ქალსა და კაცს ველარ ვარჩევთ, ვერც გარეგნობით, ვერ ფუნქციებით!..

უცხოური ორგანიზაცია „ისფედი“ ჩვენს სამშობლოში ჩვენი სამშობლოს მტრების მიერ ჩანერგილი ორგანიზაციაა. დადასტურებული ფაქტია მათ მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პარალელური დათვლის შედეგების გაყალბება, რასაც, ლამის რევოლუცია მოჰყვა. გამოაშკარავდა მათი მტრობა და „შეცდომაც“ აღიარეს, მაგრამ ამით არაფერი შეიცვალა, კვლავ მტრობას განაგრძობს.

ასეთივე გამოუსწორებელი შეცდომა იქნება „ქართული ოცნების“ მხრიდან ის შეყოვნება, რომელსაც საქართველოს მოღალატეებისა და საქართველოს მტრების მიმართ იჩენს. ისინი ბოროტების ამჟამინდელ პაუზაში უპატრონოდ არიან მიგდებულები და სულს ღაფავენ, დროთა განმავლობაში მოძლიერდებიან და უფრო მეტ პრობლემას შეუქმნიან საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და მშვიდობას საქართველოში. საკუთარი სამშობლოს მტრებთან დიდსულოვნება სისუსტეა, ანდაზას უნდა მივყვეთ და სამშობლოს მტრობით დაავადებულ ავადმყოფს ისე მოვექცეთ როგორც ანდაზა გვასწავლის...

კი, ანტიამერიკული განწყობები მსოფლიოში გავრცელდა და გაძლიერდა, საქართველო მართლა მისი საკუთრება ხომ არ იყო, რომ სამარეში ჩაჰყოლოდა... დღევანდელი აშშ-ის ადმინისტრაცია თვითონ აცხადებს მისი წინამორბედების დანაშაულს, ამდენად,

ნილ ნატო-ში მიიღეს და ისტორიული სამართლიანობის აღდგენამ ჩაილურის წყალი დალია.

ასეთივე გამოუსწორებელი შეცდომა იქნება „ქართული ცნების“ მხრიდან ის შეყოვნება, რომელსაც საქართველოს მოღალატეებისა და საქართველოს მტრების მიმართ იჩენს. ბოროტების ამჟამინდელ პაუზაში უპატრონოდ არიან მიგდებულები და სულს ღაფავენ, დროთა განმავლობაში მოძლიერდებიან და უფრო მეტ პრობლემას შეუქმნიან საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და მშვიდობას საქართველოში. საკუთარი სამშობლოს მტრებთან დიდსულოვნება სისუსტეა, ანდაზას უნდა მივყვეთ...

„ქართულო ოცნებავ“, სანამ ბოროტება დაპაუზებულია, მაქსიმალურად გამოიყენე ეს დრო საქართველოს საკეთილდღეოდ!

**მაია ჭელიძე**



№11 (788) 26.III. 2025 წ.

# ვინ შეუკვეთა პრეზიდენტ კენედის მკვლელობა?



პრეზიდენტ კენედის მკვლელობამ 62 წლის წინათ შოკში ჩააგდო მთელი მსოფლიო და მის მიმართ ინტერესი დღემდე არ განელებულა. თუმცა, ეს ინტერესი ხელახლა მაინც გააღვივა აშშ-ის პრეზიდენტმა, როცა საიდუმლო მასალებს „გრიფი“ ახსნა და მათი გამოქვეყნება განიზრახა. საინტერესოა, რაში დასჭირდა სწორედ ახლა დონალდ ტრამპს, ისრაელისა და მოსადის (ისრაელის დაზვერვის) მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნება? დონალდი ანგარიშიანი კაცია, ამ ეტაპზე არავინ იცის, კონკრეტულად რა ამოძრავებს და ანგარიშს ვის უსწორებს.

ასეა თუ ისე, ტრამპმა წინასაარჩევნო დაპირება შეასრულა და 1963 წლის 22 ნოემბერს დალასში მომხდარი ტრაგედია კიდევ ერთხელ „გააცოცხლა“. მეტიც, მან სამი სკანდალური მკვლელობის დოკუმენტების გასაჯაროების ბრძანებას მოაწერა ხელი - ძმები კენედებისა (რობერტ კენედი 1968 წელს მოკლეს. იგი საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს, კალიფორნიაში ჩავიდა და ოფიციალური მონაცემების თანახმად, პალესტინელმა სირჰან სირჰანმა ესროლა) და მარტინ ლუთერ კინგის.

სხვათა შორის, ბევრს ჰგონია, რომ დონალდ ტრამპმა ჯადოსნური ჯოხი აიქნია და 5 მილიონი გვერდი (ექსპერტები ამდენს ამბობენ) ეგრევე გამოაქვეყნა. არა, სპეციალისტების თქმით, არის მასალები, რომლებიც აშშ-ის დაზვერვის უნიათობას, არაკომპეტენტურობას და კანონდარღვევას უსვამს ხაზს. ამიტომ, ბევრი რამ ჯერაც დაფარული რჩება.

## რა მოხდა 1963 წლის 22 ნოემბერს?

ჯონ კენედი მეუღლესთან და ვიცე-პრეზიდენტთან ერთად დალასში, ფაქტობრივად, წინასაარჩევნო ტურნეს ფარგლებში ჩავიდა, მომდევნო წელს საპრეზიდენტო არჩევნები იყო ჩანიშნული. ვინაიდან ტეხასი „მოუხელთებელი“ შტატი გახლდათ, მოსახლეობა მხარს რესპუბლიკელებს უჭერდა, ჯონ კენედიმ მათი „მოქცევა“ გადაწყვიტა. სხვათა შორის, მან თვითონ დაუშვა სამი საბედისწერო შეცდომა: პირველი - კარგი ამინდის გამო ბრძანა ავტომობილის სახურავის გადახდა, მეორე - უარი თქვა ჯავშანჟილეტის ჩაცმაზე და მესამე - დაცვის თანამშრომლებს აუკრძალა, დამდგარიყვნენ მანქანის უკანა საფეხურზე.

შემდეგ კი მოხდა ის, რაც მოხდა: თავში დაჭრილი კენედი კი მიიყვანეს პარკლენდის ჰოსპიტალში, მაგრამ ვერ გადაარჩინეს. მკვლელობიდან მალევე დააკავეს ვინმე ლი ჰარვი ოსვალდი, რომელიც ამბობდა, რომ ის უდანაშაულო იყო. იგი მაშინ მოკლეს, როცა პოლიციის შენობიდან სასამართლოში გადაჰყავდათ, ჯეკ რუბიმ ესროლა.

კენედის მკვლელობასთან დაკავშირებით დღემდე უამრავი ვერსია არსებობდა, მაგრამ ეს თუ ისრაელის დაზვერვის (მოსადის) დაკვეთით მოხდა, აქამდე ჭორის დონეზეც კი არავის უთქვამს. ტექსტი, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ამ დღეებში გავრცელდა ოფიციალური წყაროებით: გამოქვეყნებული მასალებით ირკვევა, რომ აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის, ჯონ კენედისა და მისი ძმის მკვლელობები ორგანიზებული იყო ისრაელის დაზვერვის სამსახურების, მოსადისა და შინ ბეტის მიერ - ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტრდაზვერვის შეფის, ჯეიმს ენგლტონის ხელშეწყობით. კენედის მკვლელობას ორგანიზებას უწევდნენ მულტიმილიარდერი ებრაელი როტშილდების პარიზის ოფისში განთავსებული საიდუმლო შტაბიდან. კენედი საფრთხეს წარმოადგენდა გლობალისტებისათვის, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ წარმოებული პოლიტიკა ღიად უპირისპირდებოდა „დიფსთეითის“ ინტერესებს. უკვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ კენედის მკვლელობაში გარეულია ჯორჯ ბუში (უფროსი), ასევე, ჯო ბაიდენი. 1994 წელს ჯონ კენედის ვაჟმა ჯო ბაიდენს მოღალატე და ბინძური ადამიანი უწოდა, რომელსაც ხელი ურევია მამამისის მკვლელობაში. ავი ენები იმასაც ამბობენ, ჰილარი კლინტონმა თავისი პირველი არჩევნები საჯარო პოსტზე მოიგო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჯონ კენედი უმცროსი გაურკვეველი მიზეზით ავიაკატასტროფაში დაიღუპაო. გამოქვეყნებული აუდიოჩანაწერით ირკვევა, რომ კენედიმ იცოდა მის წინააღმდეგ გლობალისტების გეგმების შესახებ, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, დალასში გამგზავრებამდე თავის გარემოცვასთან უთქვამს: „ისინი მალე მოვლენ და წამიყვანენ, ომის მანქანა ძალზე ძლიერია... თუ დავეცი, დაე, ისტორიას დარჩეს, რომ მე შევეცადე მათ შეჩერებას“!

რა გამოდის, ებრაულმა მაფიამ ოსვალდი კვალის დასაფარად გაწირა? ტაბუახსნილი მასალების თანახმად, არნახული ფარსი გათამაშდა ისრაელის დაზვერვის აგენტის, მეერ ლანსკის ორგანიზებით. მისი ნამდვილი სახელი და გვარია მეერ სუხოვლიანსკი, რომელიც 1902 წელს დაიბადა რუსეთის ქალაქ გროდნოში (ამჟამად ბელარუსის ტერიტორია). მისი ოჯახი ებრაელთა აწიოკების გამო პოლონეთში გაიხიზნა. ლანსკიმ კენედის მკვლელობის შემდეგ კონსპირაციულ ბინაში ფარულად გადაიღო აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფის, ედგარ გუვერის მამათმავლური სექსუალური კავშირის აქტი და სიცოცხლის ბოლომდე აშანტაჟებდა. ნაცნობი ხელწერაა, არა? სწორედ ასე ჰყავს დაშანტაჟებული მიხეილ სააკაშვილის ხროვას არაერთი „წარმატებული“ ქართველი, ზოგი რუსთაველზე რომ დარბის და ზოგი კიდევ ბიძინა ივანიშვილის ნაჩუქარი სახლიდან იყეფება.

საიდუმლო მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ და აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა ბობი კენედიმ ამერიკული სიონისტური საბჭო აიძულეს, დარეგისტრირებულიყო უცხოურ აგენტად და ასე დაუბლოკეს აშშ-ის ოფიციალური პირებისთვის დონაციის გაცემა. ესეც ნაცნობი სურათია, ჩვენ რომ გვგონია, ე. წ. რუსული კანონით მხოლოდ ლომჯარია და გიგაური შეწუხდნენ, ასე არ არის, საქართველოს ხელისუფლებამ ამ ნაბიჯით თვით „დიფსთეითი“ განარისხა და ამიტომაც დაათოხარიკებენ რუსთაველზე ყოველ საღამოს გამოთაყვანეულ ჯოგს. მეტიც, ამიტომ ითხოვენ მავანნი დღემდე საქართველოს ხელისუფლების წევრებისა და ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებას უფრო მკაცრად, უფრო დაუნდობლად. აშკარაა, ჩვენ საქმე სწორედ იმ ძალასთან გვაქვს, რომელმაც იმსხვერპლა აშშ-ის პრეზიდენტი, იმსხვერპლა მისი ძმა, იმსხვერპლა არაერთი მაღალი თანამდებობის პირი, ესროლა დონალდ ტრამპს და ახლა, როცა მისი ალაგმვის პროცესი მიდის, მშვიდად ნუ ვიქნებით, „დიფსთეითი“ ასე იოლად არ დათმობს პოზიციებს და არც ასე უსახელოდ გადაშენ-




დება, მთავარი ომი ჯერ კიდევ წინ არის. ექსპერტების თქმით, აშშ-ში უმაღლესი თანამდებობის პირებმა ყოველთვის იცოდნენ, რომ პრეზიდენტი ჯონ კენედი და მისი ძმა სენატორი რობერტ კენედი „მოსადმა“ დახოცა, მაგრამ როგორც ჩანს, ყველას „დუმილის აღთქმა“ ჰქონდა დადებული. სხვათა შორის, ამერიკელი გამომძიებლები ერთ ხანს კენედის მკვლელობაში საბჭოთა კვალსაც ეძებდნენ, მაგრამ არც საბჭოთა კვალი გამოიკვეთა სადმე, არც კუბისა და ფიდელ კასტროს მონაწილეობა. ეგ კი არა, ერთ-ერთი ვერსიით, გამომძიებლები ჩიხშიც კი შევიდნენ, ჰარი ოსვალდი მარტოხელა მკვლელად შერაცხეს, „მოსადისა“ და ისრაელის კვალი კი საერთოდ წაშალეს.

## სად და როგორ დააკავეს ოსვალდი?

დალასის ერთ-ერთ კინოთეატრში უბილეთოდ შევიდა, თავიდან მას ბრალი პოლიციელის მკვლელობაში წაუყენეს, მაგრამ შემდეგ პრეზიდენტის მკვლელობაშიც დაადანაშაულეს, რაც არასდროს ულიარებია. აქ აშკარად ჩანს, რომ „მოსადმა“ ოსვალდი ან თავიდან მოიშორა, ან კიდევ არარსებული მკვლელობა „შეტენა“ და უკვალოდ გააქრო.

## რატომ მაინცდამაინც ოსვალდი?

მისი ბიოგრაფია და კანდიდატურა სრულად აკმაყოფილებდა მოსადის „სტანდარტებს“ - იგი ჯერ საბჭოთა კავშირში გაიქცა, 3 წელიწადი იქ იცხოვრა, შემდეგ ისევ აშშ-ში დაბრუნდა და საეჭვო წარსულის ადამიანებთან მეგობრობდა. გარდა ამისა, ოსვალდი იყო ფეთქებადი და ისტერიკული პიროვნება. მართალია, ასეთები პრეზიდენტებს ვერ კლავენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც წარსულის გამო ამოარჩიეს. ექსპერტების მტკიცებით, ოსვალდის ფოტო, სადაც მას იარაღი უჭირავს, ყალბია. ფოტოზე მას არა კარაბინი, არამედ შაშხანა უკავია.

კიდევ ბევრი დეტალია, რომელიც ადასტურებს, რომ იმ პერიოდში და არა საბოლოოდ, მთელი ამერიკა კაი გვარიანად გააცურეს. არა საბოლოოდ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ 1963 წლის შემდეგ კიდევ უამრავი აფერა გათამაშდა. თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, ჯონ კენედისა და მისი ძმის მკვლელობაში ადანაშაულებენ ჯორჯ ბუშს, ჯო ბაიდენსა და ჰილარი კლინტონს. მოგეხსენებათ, ამ ორ გადაღრძუებულსა და ერთ გარდაცვლილს (ჯორჯ ბუში უფროსი აღარ არის) მონაწილეობა აქვთ ასევე მიღებული ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ეს „მონაწილეობა“ ნამდვილად არ გახლავთ დადებითი. ისე, საინტერესოა, აშშ-ის ხელისუფლებაში უმეტესობა გადაღრძუებული და ფეხზე ბატკანგამობმული რატომ არის? მე მგონი, ეს რაღაც სპეციფიკური ფენომენია, რომელიც აუცილებლად შესასწავლ-გამოსარკვევია.

ამჯერად ამით დავასრულოთ, ვნახოთ, რა იქნება უახლოეს მომავალში - ერთი რამ ცხადია, თუ არ დამარცხდა „დიფსთეითი“, ანუ მსოფლიო მაფია, კიდევ იქნება უაზრო მსხვერპლი და უაზრო ომები, უკრაინა ამის საუკეთესო მაგალითია. ამ ეტაპზე ჩვენ კი გადავრჩით, მაგრამ საავდრო ღრუბლები ჯერ არსად გამქრალა.




**გელა ზედელაშვილი**

# ეროვნულობა ერთობის საფუძველია

**ქართველი ერი ყოველთვის გამოირჩეოდა კომუნიკაბელობით, სითბოთი, სიყვარულით, სტუმართმოყვარული ურთიერთობებით. ამით თავსაც კი ვიწონებით და ამის საფუძველიც გვქონდა. დღეს კი უკვე დაფარული აღარ არის, სააშკარაოზეა გამოტანილი, ამის შესახებ გულის ტკენასაც გამოვხატავთ და ვსაუბრობთ ამ ურთიერთობათა გაციებისა და განელების შესახებ.**



ადამიანები ნელ-ნელა სცილდებიან ერთმანეთს, შორდებიან და საკუთარ თავში, ანუ, როგორც იტყვიან, საკუთარ „ნაჭუჭში“ იკეტებიან. იკარგება ურთიერთობები, ცივდება გულები და სადღაც ქრება ჩვეული სითბო, სიყვარული, სიხარული და ხელთ გვრჩება დეპრესია, რაც ადამიანებში გარკვეულ წუხილს იწვევს და თითოეულს თავისებურ სულიერ დაღს ასვამს. ამასთან ერთად, ვკარგავთ ჩვენს ეროვნულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშან-თვისებას და თვით ადამიანის მნიშვნელოვან თვისებას, რასაც ურთიერთობები ჰქვია, რითაც ადამიანი ჩამოყალიბდა ადამიანად და მის არსებით ნიშანს წარმოადგენს.

ამ ეროვნული და ზოგადადამიანური უბედურების მიზეზად ასახელებენ ტექნიკურ პროგრესს, ტელევიზორს, კომპიუტერს და ინტერნეტს, მართალია, აღნიშნულ ფაქტორებს გარკვეული წვლილი მიუძღვით, მაგრამ არა მთავარი და განმსაზღვრელი. ამის მიზეზი და სათავე სხვაგან არის, რაც წინასწარ არის დაგეგმილი და გამიზნული. კერძოდ ე. წ. პარტნიორებმა თავის დროზე შემოიტანეს და ჩვენთან დანერგეს ინდივიდუალიზმის პრინციპი, იმის ქადაგება, რომ შენ ხარ შენ და უნდა იფიქრო და იზრუნო მხოლოდ საკუთარ თავზე და საკუთარი თავის წარმატებებისათვის, საკუთარი სიამოვნებისა და კეთილდღეობისათვის. საკუთარი თავის გარდა, შენთვის სხვა არ არსებობს და ამას პიროვნების ნების თავისუფლებით ამართლებენ და ფუთავენ. ადამიანთა გათიშულობა, კარჩაკეტილობა და ინსტინქტებს დაქვემდებარება რომ ცხოვრების წესად აქციონ, დაუმატეს ლოზუნგი: დაისვენე, გაერთე, ისიამოვნე და მსგავსი მოწოდებები. ამასთანავე, მიზნად და ორიენტირად დასახეს ფული და მისი შოვნა. ფულისადმი ლტოლვაა შემოტანილი დღეს ორიენტირად, ფული აქციეს თვითმიზნად და შედეგად, დაწყებულია ფულის შოვნის დაუსრულებელ გზაზე მარათონი, სადაც ყველას პირადი, საკუთარი მიზანი და ინტერესი აქვს და ერთმანეთისთვის აღარ სცალიათ, სადაც ერთი ადამიანი მეორის ხელისშემშლელია და არა თანამდგომი, ხოლო სადაც თანადგომა არ არის, იქ იბადება გათიშულობა. აღნიშნულის პარალელურად სურთ, ადამიანების ცნობიერებიდან ამოშალონ მშობლის, ეროვნების, სამშობლოს ცნებები, წინაპართა პატივისცემა, საკუთარი ერის ისტორიის ცოდნა და სხვა. ამ მიზანს და საქმეს ემსახურება პასპორტებიდან მშობლის სახელისა და ეროვნების ამოღება. სამშობლოს ცნება ხომ სრულიად დავიწყებულია, ამოღებულია ხმარებიდან და სადღაც მოუსავლეთში უნდათ, გადაკარგონ. ესენი და სხვა მსგავსნი ის მაღალი ფასეულობების ცნებებია, რომლებიც კრავს ადამიანებს და აერთიანებს ერთ მთლიან ორგანიზმად, აკავშირებს, ურთიერთობაში ამყოფებს, მიზიდულობის ძალებს ქმნის და არ თიშავს მათ. ამ და მსგავსი ცნებების გარეშე ადამიანებს არაფერი აქვთ ძირეული გამაერთიანებელი. სამშობლოსა და ერის ცნებები ადუღაბებს ადამიანებს, უსახავს საერთო მიზნებს და ერთობლივად წარმართავს მათ მოქმედებას, ამ საერთო მიზნების განხორციელებისათვის ისინი ერთ სულ და ერთ ხორც არსებად იქცევიან, რაც სითბოს - სიყვარულს ბადებს, აზრს აძლევს, ხალისსა და სიხარულს ანიჭებს მათ ცხოვრებას. სამშობლოსათვის ბრძოლაში მარცხიც კი ცხოვრების საზრისის განმსაზღვრელია და პატივის მიმნიჭებელია. ასეთი ღირებულებებისადმი ერთგულება ადამიანებს არ აძლევს გათიშულობის, საკუთარ „ნაჭუჭში“ ჩაკეტილობის უფლებას. მასთან ერთად სადღაც ქრება დეპრესიის ხსენებაც. ერისა და სამშობლოს სამსახური არის სიხარულისა და ბედნიერების არა მარტო პირობა, არამედ წყაროც. რადგან, თუ საერთო საერო საქმე არ მოგვარდება, პირადულ წარმატებაზე და კეთილდღეობაზე საუბარი კი არა, ოცნებაც არ შეიძლება. ჩვენმა ისტორიამ დიდი ხანია, გვიჩვენა და დაამტკიცა, რომ გათიშულობით, გათითოკაცებით წარმატებისათვის არასდროს არ მიგვიღწევია. თითოეულის წარმატება ერთიანობაშია, ამ ერთიანობას კი ქმნის ჩვენი ეროვნული თვითშეგნება და ჩვენი სამშობლო. სხვა თუ არაფერი, ადამიანი ხომ საზოგადოებრივი არსებაა და საზოგადოებრივი ურთიერთობების პირმშოა, რაც ერთიანობას და არა გათიშულობა - განცალკევებას ეფუძნება.

ასე, რომ ნათქვამიდან გამომდინარე, სიღრმისეულად თუ შევხედავთ აღნიშნული გულცივობის და გათიშულობა-ჩაკეტილობის დაწყებული პროცესს, რაც სამართლიან წყენას და გულისტკენას იწვევს, თუ ასე გაგრძელდა, ეს ჩვენი ეროვნული ტრაგედიაა, რაც კომპიუტერით და ინტერნეტით კი არ არის განპირობებული, არამედ იმ იდეოლოგიით, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობენ გარეშე მტრული ძალები ინდივიდუალიზმის ქადაგებით, მშობლის, წინაპრებისა და ასაკით უფროსისადმი პატივისცემის დავიწყებით, ერისა და სამშობლოს იგნორირებით და ა. შ. ამ გზით სურთ, დაამკვიდრონ გულცივობა და გათიშულობა, მოშალონ ქართული ტრადიციული ოჯახი, დაამაბუნონ და მოსპონ ეროვნული სხეული. აი, სადამდე მივყავართ ჩვენი დასავლელი ე. წ. მეგობრების მიერ შემოთავაზებულ-შემოგდებულ ლოზუნგებს, რომლებიც გლობალისტური იდეოლოგიიდან მომდინარეობს. დღეს ტელევიზორთან და კომპიუტერთან მიჯაჭვულობა (საიდანაც სრულიად გამქრალია ეროვნული ღირებულებები და ადამიანები მოწყვეტილნი არიან რეალობას და საზრუნავს) კი არის ამ დიდი გეგმის ერთ--ერთი ნაწილი და არა დაწყებული გულცივობის და კარჩაკეტილობის მიზეზი. ესენი, უბრალოდ, საშუალებებია, რომლებიც ასევე შეიძლება პირიქით გამოიყენო ეროვნული ინტერესებისათვის. მათი ჭეშმარიტი დანიშნულებაც ხომ ეს არის. სხვადასხვა საშუალებებით და მეთოდებით შეგნებულად გვისპობენ საერთო მიზანს, საერთო ამოცანებს, საერთო საზრუნავს, რაც ადამიანებს აერთიანებს, ერთ ორგანიზმად კრავს და რასაც სამშობლოს მიერი, მამულიშვილური ჰქვია და შედეგად იშობა გულცივობა, განცალკევებულობა, გათიშულობა და, საბოლოო ჯამში, ეროვნული გადაშენება. ეს კი არამარტო ეროვნული, არამედ ინდივიდუალურ-პიროვნული ტრაგედიაც არის. მაღალი საზოგადო ეროვნული იდეალების უქონლობის გამო, გზა ეხსნება დეპრესიას და ცხოვრების, თვით სიცოცხლის აზრის დაკარგვას. აი, ადამიანის ვითომდა ე. წ. უფლებებზე მზრუნველი გლობალისტურ-ნეოლიბერალური იდეოლოგიების შეფარული საბოლოო შედეგი და მიზანიც.

აღნიშნულ პროცესში არსებულ ეკონომიურ სიდუხჭირეს თავისი ადგილი და როლი აქვს, რაც იმავე გარეშე ძალების ზეგავლენითა და მითითებებით დაგვემართა, მაგრამ ეს ცალკე საკითხია.

ვიდრე აღნიშნულ იდეოლოგიურ ჭაობში მთლად არ ჩავძირულვართ, დროა, სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ და თავისი ადგილი დავუმკვიდროთ ეროვნულ ფასეულობებს, დამთავრდეს ე. წ. მანქურთობა. ამასთანავე, განათლების სისტემას დაუბრუნდეს აღმზრდელობითი ფუნქცია, სადაც დიდი ადგილი უნდა დაეთმოს საქართველოს ისტორიას და ლიტერატურას, რომ ჩვენი მომავალი თაობები კვლავ ღირსეულ მამულიშვილებად და არა სახედაკარგულ, გაურკვეველ ე. წ. მსოფლიო მოქალაქეებად აღიზარდონ. ამ გზით უნდა დავიმკვიდროთ ეროვნული და პიროვნული გარკვეულობა და რომ შნო, მშვენება და ინტერესი შერჩეს თავად კაცობრიობას, რადგან ერების გარეშე ის უშინაარსო და უინტერესო იქნება. ერების არსებობა არის კაცობრიობის აზრის მიმცემიც და სიმდიდრეც. აქედან გამომდინარე, საკუთარ ერზე და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა არაპირდაპირ კაცობრიობაზე ზრუნვასაც ნიშნავს. ამ თვალსაზრისით დაზღვეული ვართ ვიწრო ნაციონალისტური ნაკლოვანებებისაგან და ეროვნულობა ძალდაუტანებლად ესადაგება ერთა თანაარსებობას, თანამეგობრობას, ანუ ინტერნაციონალიზმს.





**ამბროსი კავლელაშვილი**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**



# რომელ კონტინენტს დაფარავს დიდი პოლიტიკური ციკლონი?

გაურკვევლობა და ბუნდოვანება მსოფლიო პოლიტიკაში გრძელდება. ანალიტიკოსები ამის მიზეზად ღირსეული, წონიანი პოლიტიკოსების დეფიციტს ასახელებენ. თუმცა, გლობალური ძალები, რომლებიც სამყაროზე პოლიტიკურ გავლენას ფლობენ, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მცდელობისა, პოზიციების დათმობას არ აპირებენ. ამის დამამტკიცებელი საბუთებისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება.

დავიწყოთ რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტით. დღევანდელი მონაცემებით, უკრაინამ, რომელსაც პირწმინდად უნდა დაემარცხებინა რუსეთი, ფიასკო განიცადა. არაფერს ვამბობთ დონბასისა და ლუგანსკის დაკარგულ ოლქებზე. შარშან, აგვისტოში, რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელებული შეჭრით, შემდეგ კი წარუმატებლობით, უკრაინიას არმიამ, უფრო ზუსტად, სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებამ, სრული წარუმატებლობა განიცადა — დაღუპულია ათობით ათასი სამხედრო, დაიკარგა ასეულობით ერთეული ძვირადღირებული ტექნიკა. ასეთ შემაშფოთებელ ინფორმაციას ავრცელებენ დასავლური პრესისა და სამხედრო-ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლები.

თავისთავად, ომი ომია და მსხვერპლსაც მოითხოვს. თუმცა, თუ არის იმის შესაძლებლობა, რომ თავიდან იქნას აცილებული სისხლისღვრა და ამას ნებისმიერი ქვეყნის მმართველი არ აკეთებს, იგი, უპირობოდ, დამნაშავეა. თუმცა, ყოველივეს მომავალში დაადგენენ, მაგრამ რა ეშველება ათასობით დაღუპულს, პასუხი დღემდე არავის აქვს.

ასეთი დიდი შესავალი, შესაძლოა, მავანს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ საღად რომ შევხედოთ დღევანდელ რეალობას, დავინახავთ, რომ სამყარო, ფაქტობრივად, ისეთ უფსკრულს მიუახლოვდა, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან აღარ ყოფილა...

ნახევარი საუკუნის შემდეგ სიტუაცია ერთგვარად განსხვავდება, მაგრამ საომარი რიტორიკა, სამწუხაროდ, არ შეცვლილა. პარალელების გავლება ახლა უადგილოა, მაგრამ არის მსგავსება იმდროინდელი ბირთვული ომის საფრთხესა და დღევანდელობას შორის. არსებობს რადიკალური განსხვავებაც.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მაშინდელმა საბჭოთა კავშირმა და აშშ-მა გამალებული შეიარაღება დაიწყეს... რასაც შედეგად ერთ-ერთი ცნობილი იმპერიის დანგრევა მოჰყვა. თუმცა, ეს ყოველივე წარსულში დარჩა.

დღეს, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, მსოფლიოს ერთ-ერთი ცხელი წერტილი აღმოსავლეთი ევროპა, კონკრეტულად კი უკრაინაში მ,იმდინარე სამხედრო კონფლიქტია, რომელიც 2022 წლიდან მიმდინარეობს. ახლა ძნელია იმის მტკიცება, შესაძლო იყო თუ არა ომის თავიდან აცილება. სამწუხარო ფაქტია — იხოცება ხალხი, ინგრევა ქალაქები.

ჯერ კიდევ წინასაარჩევნო მიმართვებში, აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა და ახლა უკვე მმართველმა, დონალდ ტრამპმა, არაერთხელ განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის ომს იგი არ დაუშვებდა, თუ ქვეყნის მმართველი გახდებოდა. დღეს იგი მცდელობას არ აკლებს, რომ კონფლიქტი დასრულდეს (შექმნა სამუშაო ჯგუფები მოლაპარაკებების წარმოებისთვის, რაღა სისხლისღვრა შეჩერდეს).

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დარეგულირების ფარგლებში აშშ-რუსეთის სამუშაო ჯგუფების უკვე მესამე შეხვედრა გაიმართა, რასაც საფუძველი დაუდო დონალდ ტრამპის სატელეფონო საუბარმა რუს კოლეგასთან ვლადიმირ პუტინთან.

პირველი დიალოგი ორ პრეზიდენტს შორის ჯერ კიდევ თებერვლის თვეში შედგა. თითქმის ერთი თვის შემდეგ უკვე მეორე დიალოგი გაიმართა. საუბარს ვინ და რა სტატუსით ესწრებოდა, თავისთავად, უცნობია. თუმცა, გაირკვა, რომ ერთ-ერთი მონაწილე ორი პრეზიდენტის საუბრისა ახლო აღმოსავლეთის საკითხებში დონალდ ტრამპის პირადი წარმომადგენელი სტივენ უიტკოფი იყო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სტივენ უიტკოფი ტრამპის დავალებით წლეულს უკვე ორჯერ შეხვდა და ესაუბრა ვლადიმირ პუტინს. პირველი ვიზიტი ორივე მხარემ გაასაიდუმლოა, მხოლოდ გაკვრით აღნიშნეს პრესაში, მეორე ვიზიტი ხანგრძლივი აღმოჩნდა — ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდაო, იუწყებიან ოფიციალური წყაროები. უიტკოფის განცხადებით, იგი სიტყვაზეც კი ენდობა პუტინს, რაც მრავლისმეტყველია.

გასულ კვირას მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო დონალდ ტრამპისა და ვლადიმირ პუტინის უკვე მეორე სატელეფონო საუბარმა. პრეზიდენტების საუბრის ძირითადი თემები გასაიდუმლოებულია, თუმცა ზოგიერთი დეტალი მაინც ცნობილი გახდა. ტრამპმა კოლეგას სთხოვა, კურსკის ოლქში ალყაში მყოფი უკრაინელი სამხედროები შეიწყალოს, რაზეც უკვე გაცხადებული პასუხი მიიღო, იარაღი დაეყარათ და დანებებოდნენ, რაც თითქმის შეუსრულებელი აღმოჩნდა, ასევე, ტრამპმა სთხოვა პუტინს, რუსეთის ჯარს არ დაებომბა უკრაინული ენერგოობიექტები, რაზეც კოლეგა უმალ დათანხმდა. უფრო მეტიც, შეტევაზე გაგზავნილი უპილოტო საფრენი აპარატები პუტინის ბრძანებით თავად რუსეთის ჯარებმა გაანადგურეს. ასევე, ცნობილი გახდა, რომ, პრეზიდენტები შეთანხმდნენ, გაიმართოს ორი ქვეყნის ნაკრები გუნდების შეხვედრა ჰოკეიში. ცნობილია, რომ ტრამპი და პუტინი ამ სპორტის გულშემატკივრები არიან.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, მოლაპარაკებიდან ორიოდ საათში უკრაინის ჯარებმა შეტევა განახორციელეს რუსეთის ობიექტებზე. აქედან გამომდინარე, პოლიტოლოგებმა აღნიშნეს უკრაინის სამშვიდობო მოლაპარაკებების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება.

დამოუკიდებელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უკრაინის ხელისუფლება გლობალისტების გავლენას განიცდის და მხარსაც უჭერს. მოკლედ რომ ვთქვათ, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ცეცხლის შეწყვეტის არამარტო მომხრე, მისი ინიციატორიც არის, მაგრამ სამშვიდობო მისიას თავად უკრაინელები ეწინაღმდეგებიან.

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ევროპას რუსეთის თავდასხმის თავიდან აცილებისთვის საკუთარი ბირთვული „ქოლგა“ შესთავაზა. სამხედრო ექსპერტების გაანგარიშებით, საფრანგეთი ბირთვული ქობინების რაოდენობით თითქმის ხუთჯერ(!) ჩამორჩება რუსეთში არსებულს. თუმცა, რატომღაც ცალკეული პოლიტიკოსები ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ. ამის გარდა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კირ სტარმერი დაჟინებით ითხოვს გაერთიანებული ევროპული სამშვიდობო ძალების უკრაინაში განთავსებას, მაგრამ სად განათავსებენ და ვინ დააფინანსებს მათ, ან რა ფუნქცია დაეკისრებათ, უცნობია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია კატეგორიული წინააღმდეგია უკრაინაში საკუთარი ჯარების გაგზავნის. ასევე, ევროკავშირის ცალკეული ქვეყნებიც არ აპირებენ მსგავს ავანტიურაში მონაწილეობას. თუმცა, კირ სტარმერს იმედი აქვს, რომ შეძლებს მათ დაყოლიებას, რაც მესამე მსოფლიო ომის დაწყებას ნიშნავს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აშშ-მა უკვე ღიად შეუტიეს იემენელ ჰუსიტებს. რეგიონში უკვე იმყოფება მათი ატომური ავიამზიდი „თეოდორ რუზველტი“, რომლის მეშვეობითაც ახორციელებენ იემენზე შეტევებს. თავისთავად, ნებისმიერი სამხერო ოპერაცია ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც, აშშ-ის დღევანდელი ხელისუფლება უკრაინის მიმართ ადრინდელივით ხელგაშლილი აღარ იქნება. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ისრაელისა და ირანის პრობლემები. ამიტომაც, ევროპას და ნატო-ს პირდაპირ უთხრა ტრამპმა, რომ მათ თავად უნდა იზრუნონ საკუთარ თავზე.

უკრაინისთვის დახმარების გაწევისთვის კვლავ აქტიურობს ევროკავშირი. ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, ევროკავშირმა უნდა შეძლოს 800 მლრდ ევროს მობილიზება უკრაინის დასახმარებლად და რუსეთის შესაჩერებლად. თუმცა, საიდან მოიძიებენ თანხებს, უცნობია.

ამასობაში გამწვავდა ვითარება ახლო აღმოსავლეთში. იემენელი ჰუსიტების პოზიციებს უტევს აშშ, არაბები კი თავის მხრივ ამერიკულ სამხედრო გემებზე, მათ შორის, ავიამზიდებზე შეტევების შესახებ აცხადებენ. რეალური ინფორმაცია რეგიონიდან არ ვრცელდება.

გამწვავდა პოლიტიკური ვითარება თურქეთშიც. გასულ კვირას სხვადასხვა ბრალდებით დააკავეს სტამბოლის მერი ეკრემ იმამოღლუ, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის მოწინააღმდეგეა. ქვეყნის ქალაქებში ყოფილი მერის მხარდამჭერი მრავალათასიანი დემონსტრაციები იმართება. პოლიცია დემონსტრანტების მიმართ მკაცრ ზომებს მიმართავს.

წინასწაარჩევნო დანაპირები შეასრულად დონალდ ტრამპმა და აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის, ჯონ კენედის მკვლელობის დოკუმენტები გაასაჯაროვა. ანალიტიკსების შეფასებით, რომლებმაც უკვე შეძლეს საიდუმლო საბუთების შესწავლა, ბევრი დოკუმენტი კორექტირებულია, ბევრი ფურცელი საერთოდ ვერ იკითხება. მოკლედ, გასაჯაროებულმა დოკუმენტებმა აქამდე არსებულზე გაცილებით მეტი შეკითხვა გააჩინა. აშკარა გახდა ერთი მთავარი გარემოება — 35-ე პრეზიდენტის მკვლელობაში აშშ-ის სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ. პოლიტოლოგები იმასაც აცხადებენ, რომ დონალდ ტრამპმა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოზე შური იძია. თუმცა, იქვე შიშს გამოთქვამენ, რომ შესაძლოა, ტრამპმა კენედის ბედი გაიზიაროს ძალოვან სტრუქტურებთან დაპირისპირების გამო.

განსაკუთრებული განკარგულება გამოსცა გასულ კვირას დონალდ ტრამპმა, რომლის მიხედვითაც, საიდუმლო საბუთებზე ხელმისაწვდომობა შეუწყდა მის წინამორბედ ჯო ბაიდენს, მის ოჯახსა და ყოფილ მაღალჩინოსნებს.

**გია ბურდული**



# საქართველო ნარკოტიკების გარეშე

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, „ქართულმა ოცნებამ“ დააანონსა, რომ საქართველოში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას გაამკაცრებდა. ასეც მოხდა. მართალია, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ის, რაც ხელისუფლებამ ახალი საკანონმდებლო ინიციატივით შემოგვთავაზა, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მისაღები აღმოჩნდა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში არაერთი პროგრამა ამუშავდა. მაგალითად, მეტადონის ე. წ. თერაპიული ჩანაცვლების ღონისძიებამ ძალიან ბევრი ახალგაზრდა იხსნა სიკვდილისგან. სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში 18 000 მდე ნარკომანია. უფასო მკურნალობამ შედეგი გამოიღო, წამალ დამოკიდებულთა რიცხვი მცირდება. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ამ პროგრამაში შემთხვევაში, მათთვის თავის დანებება ძალიან ძნელია.

ცნობისათვის, მკაცრდება სასჯელი ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების გაყიდვისთვის: მცირე ოდენობის ნარკოტიკის გაყიდვა დაისჯება 12-დან 20 წლამდე, ან უვადო პატიმრობით. მოქმედი კანონმდებლობით, ეს დანაშაული ათ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა. ამასთან, სამიდან 6 წლამდე დაისჯება კანაფისა და მარიხუანის გასაღება, ხუთიდან ათ წლამდე პატიმრობით - კანაფისა და მარიხუანის გაყიდვა.

ახალი კანონი განსაზღვრავს, რას მიიჩნევს სახელმწიფო ნარკოტიკებით ვაჭრობად და ვის ჩათვლის ნარკომოვაჭრედ. ასევე, იმას, თუ ვინ ჩაითვლება ნარკომოვაჭრის ოჯახის წევრად, ახლო ნათესავად და მასთან დაკავშირებულ პირად, რა ჩაითვლება ნარკომოვაჭრის ქონებად, - კანონის ძველ რედაქციაში ასეთი განმარტებები არ არსებობდა.




ახალი კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლებელი გახდება ნარკორეალიზატორის, ან ნარკოტიკების გავრცელებაში ხელშემწყობისთვის უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსთვის გადაცემა.

ცნობისათვის, 2025 წლის პირველი ივნისიდან მას, ვისაც დაუდასტურდება, რომ მოიხმარა ნარკოტიკი ან მას, ვინც თავს აარიდებს ნარკოლოგიურ შემოწმებას, სამი წლით ჩამოართმევენ მართვის მოწმობას, 5 წლით აუკრძალავენ საჯარო სამსახურში, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობას და ამავე ვადით ჩამოართმევენ იარაღის ტარების/ქონის უფლებას.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, თუკი პოლიციელი ქცევით ან სხვა რაიმე გარეგნული ნიშნით ჩათვლის, რომ მოქალაქე შეიძლება ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იყოს, მას უფლება აქვს, იგი ექსპერტიზაზე გადაიყვანოს. ამ მოთხოვნაზე უარის თქმა შესაძლებელია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს მაინც რჩება ვალდებულება, პოლიციას 24 საათის განმავლობაში წარუდგინოს დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგები. ნარკოტესტი უნდა გაკეთდეს მიმართვის გამოწერიდან არაუგვიანეს 8 საათისა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა პირველ ჯერზე დაისჯება 500-დან 2 000 ლარამდე ჯარიმით, ან 60 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობით, ფაქტის განმეორების შემთხვევაში კი, დადგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ანუ პატიმრობა.

ოპოზიციური სპექტრისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ახალი კანონპროექტის ეს მნიშვნელოვანი დეტალი. რუსთაველზე გამართული საპროტესტო აქციების დროს ტელეეკრანზე ბევრჯერ გვინახავს ზოგიერთი მისი მონაწილე ახალგაზრდის ისეთი საეჭვო ქცევა, როდესაც ადვილად ხვდები, რომ ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მისი ყოფნა სადავო არ არის. რა თქმა უნდა, ამ ფონზე ქვეყნის ავის მოსურნეთა ეს პროტესტიც გასაგებია. მათი მოსაზრებით, თურმე, პროტესტანტი იმდენად ხელშეუხებელი უნდა იყოს საზოგადოებაში, რომ პოლიციას არ უნდა ჰქონდეს საეჭვოდ მისი მიჩნევისა და შესაბამისი რეაგირების უფლება.

აღნიშვნის ღირსია ამ კანონპროექტის ერთი ჩანაწერიც. კერძოდ, პატიმრობის თავიდან აცილება შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს პოლიციას ნარკოტიკებს, რაც ძველი კოდექსისათვის მიუღებელი იყო. ესეც ნარკოლიბერალიზაციისკენ წინ გადადგმული ნაბიჯია.

რატომღაც ოპონენტებს ავიწყდებათ „ნაციონალური რეჟიმის“ ის ისტორია, როდესაც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა არაფერს ადამიანურს არ ითვალისწინებდა. მთავარი იყო, ქვეყნის ბიუჯეტი საპროცესო გარიგებებით შეევსოთ, არ ავლებდნენ ზღვარს დამნაშავესა და ავადმყოფს შორის და მათ შორის, რა სოციალური სტატუსის მატარებელი იყო ავადმყოფი „დამნაშავე“.

საქართველოს პარლამენტში შექმნილ დროებით საგამოძიებო კომისიას, რომელიც ნაციონალური ხელისუფლების დანაშაულებებს იძიებს, ვურჩევთ, სხვა ფაქტებთან ერთად, ისიც გამოიკვლიონ, იმ პერიოდისთვის საპროცესო გარიგებების მიღწევისათვის რა რაოდენობის თანხები აკუმულირდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში. ასევე, ბანკში საკუთრების დაგირავების შედეგად, რამდენმა ოჯახმა დაკარგა ერთადერთი საცხოვრისი, რაც ამ ხელისუფლების პირობებში არ ხდება. პროკურატურა იმ მავნე პრაქტიკას აღარ იყენებს, კერძოდ, საპროცესო შეთანხმების დასადებად წინასწარ აღარ ითხოვს ფულადი ჯარიმის გადახდას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.

ხსენებული კანონი ძალაში 2025 წლის პირველი ივნისიდან შევა, რადგან ორი მოსმენით უკვე დამტკიცდა.

ჩვენი გაზეთი კი ამ თემაზე საუბარს, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, კვლავ დაუბრუნდება.

მონაწილე ექიმების სოციალური მდგომარეობაც მძიმეა. დაბალი ხელფასების ფონზე, როდესაც თვეში ერთ ექიმს 200-მდე პაციენტის მიღება უწევს თვეში, დაახლოებით, 1200 ლარის სანაცვლოდ (ერთი საშტატო ერთეული), ამ მხრივ სახელმწიფოს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს.

იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა, მეტადონის პროგრამა დაიხუროს, მაგრამ რა იქნება ალტერნატივა, ჯერ უცნობია. ერთ-ერთ გაზეთთან ინტერვიუში ცნობილი ექიმი-ნარკოლოგი გელა ლეჟავა აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, არსებობს ადამიანთა ერთი ნაწილი, რომელმაც, თუ წამლის მოხმარება მაინც დაიწყო, მერე შეჩერება ვერ ხერხდება. ამიტომ, როგორც გამოცდილი ექიმი მიიჩნევს, ყველაზე კარგი გამოსავალი მაინც მეტადონია. თუ სწორად იქნება შერჩეული პროგრამა, შეიძლება მომხმარებელმა ჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვროს და საზოგადოებაში მისი ადაპტირება მოხდეს.

როგორც ამბობენ, ნარკოტიკების მოხმარება ხშირად ერთმანეთის მიმბაძველობით ხდება ,ისევე, როგორც თამბაქოს ხშირი გამოყენების შემთხვევაში. ქვეყანაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ლამის მოდად იქცა ე. წ. კლუბური ნარკოტიკები, რომელთა 2-3 ჯერ გასინჯვის

**ლევან ჭიღლაძე**

# იურიდიული რჩევები

## თქვენს შეკითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე



**- შემიძლია თუ არა აღსრულების გადავადებისთვის მივმართო სასამართლოს, რადგან ეკონომიური პრობლემების გამო დაკისრებულ ჯარიმას ვერ ავანაზღაურებ.**

- დიახ, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს აღსრულების გადავადებისათვის, თუ მას უტყუარ მტკიცებულებებს, ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ და სხვა საჭირო დოკუმენტებს წარუდგენთ. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, გადაავადოს დაკისირებული თანხა ერთჯერადად, არანაკლებ 3 თვის ვადით.

●

**- მაქვს თუ არა უფლება, ჩემი შვილი სასამართლოში უღირს მემკვიდრედ გამოვაცხადო, რადგან მისი მამის, ანუ ჩემი მეუღლის მიერ დატოვებული ყველა ქონება ბანკში ჩადო.**

- დიახ, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ პირის უღირს მემკვიდრედ ცნობა, თუ მემკვიდრე უმადურად ექცევა და არ პატრონობს მშობლების მიერ დანატოვარ ქონებას.

●

**- ვმუშაობდი ერთ-ერთ ქარხანაში, რომელიც დაიშალა და გაუქმდა. იქ დავეუფლე ძველ ე. წ. ამწე მანქანას. მინდა მისი საკუთრებაში გაფორმება. როგორ მოვიქცე?**

- თუ თქვენ იპოვეთ მოძრავი ნივთი, მაგალითად, მწყობრიდან გამოსული მანქანა და ამ ნივთს ფლობთ ხუთ წელზე მეტი დროის განმავალობაში, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ ამ ნივთზე, როგორც უპატრონოზე, მესაკუთრედ ცნობა. ოღონდ ვალდებულება გაქვთ, ყველა სტრუქტურიდან გამოითხოვოთ ცნობა მისი სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ. ამის შემდეგ სასამართლოს შეუძლია გადმოგცეთ აღნიშნული ამწე მანქანა საკუთრებაში, რომელსაც აღრიცხავთ მომსახურების სააგენტოში.

●

**- დამეღუპა მეუღლე, რომელმაც დამიტოვა იპოთეკით დატვირთული ბინა. გარდაცვლილმა კერძო პირისგან აიღო იპოთეკური სესხი, რომელსაც ვადა გაუვიდა. გამსესხებელს ვერ ვპოულობ როგორ მოვიქცე?**

- ასეთ შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ სასამართლოში ხანდაზმულობის გამო ბინაზე იპოთეკის შეწყვეტა. თუ გამსესხებლის მისამართი უცნობია, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოთხოვოთ პოლიციის დახმარებით მისი მოძებნა.

●

**- უძრავი ქონების ამონაწერის შესაბამის გრაფაში მითითებულია იპოთეკა. რა პრობლემებს შემიქმნის ის მშენებარე კორპუსში ფართის ყიდვის დროს.**

- დღეისათვის არაერთი მშენებლობა მიმდინარეობს მშენებელსა და ბანკს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებითა და თანადაფინანსებით. ბანკი სესხის უზრუნველსაყოფად პროექტის დაწყებისთანავე ან/და შემდგომ სამშენებლო ობიექტს ტვირთავს იპოთეკით (მიწის ნაკვეთსა და მასზე ასაშენებელ შენობას. იპოთეკა ვრცელდება შენობის ყველა ინდივიდუალურ უძრავ ქონებაზე). კონკრეტული უძრავი ქონების ამონაწერში რეგისტრირებული იპოთეკა წარმოადგენს პრიორიტეტულ სანივთო უფლებას და შესაბამისი პირობების დადგომის შემთხვევაში, იპოთეკით უზრუნველყოფილი უძრავი ქონების რეალიზაციისას ჯერ იფარება იპოთეკარის მიმართ არსებული დავალიანება. აღნიშნული გულისხმობს, რომ, თუ მშენებელი/გამყიდველი დაარღვევს ბანკთან დადებულ ხელშეკრულებას, მყიდველის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეიძლება აუქციონზე გაიყიდოს, ე. ი. დაკარგოს საკუთრების უფლება. ამ რისკების შესამცირებლად სასურველია, ნასყიდობის ხელშეკრულებას დანართად ახლდეს შესაბამისი საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული დაპირების წერილი, რომ, თუ მყიდველი, ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, დაფარავს საფასურს, პრეტენზია არ ექნება იპოთეკით დატვირთულ ნასყიდობის საგანზე და თანახმა იქნება იპოთეკის გაუქმებაზე. ასევე მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული გამყიდველის ვალდებულებაც — უზრუნველყოს ქონების გათავისუფლება იპოთეკისაგან მყიდველის საკუთრებაში მის გადაცემამდე.

**ტელ: 555 75-04-45**

**გთხოვთ, შეკითხვები გამოაგზავნოთ გაზეთის ელექტრონულ ფოსტაზე: saertogazeti@yahoo.com**

# ჩილოდან – აფრიკის სავანეებსა და ვიეტნამის ჯუნგლებში




(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N8)

საბჭოთა გეოლოგები პირველად მივდიოდით მოზამბიკში, ამიტომ წარმოდგენა არ გვქონდა, რა გველოდა. მოზამბიკის დამოუკიდებლობის შემდეგ, საკმარისად დარჩნენ ის პორტუგალიელები, რომელთაც კოლონიზატორობის დროს მაღალი თანამდებობები ეკავათ და ძველი რეჟიმის აღდგენას ელოდებოდნენ. რა თქმა უნდა, პორტუგალიელებს საბჭოელები სძულდათ, რადგან იცოდნენ, რომ მოზამბიკის გათავისუფლებაში გადამწყვეტი როლი საბჭოთა კავშირმა ითამაშა. ძველი რეჟიმის მომხრეებიდან არასასიამოვნო დამოკიდებულება საგრძნობი იყო, ამასთანავე, გვიმალავდნენ გეოლოგიურ მასალას. განსხვავებით სხვა ქვეყნის სპეციალისტებისგან, ჩვენ დაბალი კატეგრიების სასტუმროებში ვცხოვრობდით და პირველ თვეებში ტრანსპორტის ნაკლებობასაც განვიცდიდით.

მოსკოვიდან რომ გამოვფრინდით -18 გრადუსი ყინვა იყო, მაპუტუში +38 სითბო დაგვხვდა.

სამხრეთ აფრიკაში დეკემბერი ზაფხულის პირველი თვეა, წვიმის სეზონი. პირველხანებში, მაღალი ტენიანობის გამო სუნთქვა გვიჭირდა. ისეთი კოკისპურული წვიმები იცის, მართლა გეგონება, რომ წყალს ვედრით ასხმენ. მოდის შავი მასა, ჩამოწვება სიბნელე, შორს ვერაფერს ხედავ. რამდენიმე მეტრით აიწევს მდინარეების კალაპოტი და წყლით იფარება მინდვრების დიდი ნაწილი, რაც მთლიანად ანადგურებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. მოზამბიკში ასეთი მდინარეები ლიმპოპო და ზამბეზია. წვიმა მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდება, თორემ წალეკავდა მატერიკს და ოკეანეში ჩაიტანდა.

ზამთრის სეზონზე, როდესაც საშინელი გვალვაა, ლიმპოპოს კალაპოტი ისეა ამომშრალი, თითქოს იქ არასოდეს ჩადენილა წყალუხვი მდინარე. ლიმპოპო წლის სხვადასხვა დროს მაქვს ნანახი, მაგრამ მისი გრანდიოზულობა განსაკუთრებით შთამბეჭდავია წვიმების სეზონზე — მოედინება მონაცრისფრო-შავი მასა მდორედ და ჩუმად, მაგრამ ისე ძლიერად, რომ ყველაფერი, რაც გზაზე ხვდება, თან მოაქვს.

საელჩოში აღნიშნეს, რომ ქვეყანაში მძიმე სიტუაციაა, საბჭოთა მოქალაქეების მიმართ ხშირად აწყობენ შანტაჟს, ამიტომ ყველგან და ყოველთვის ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით. თათბირის შემდეგ მიგვიყვანეს ჩვენს მომავალ სამსახურში და წარგვადგინეს ეროვნული გეოლოგიური სამმართველოს უფროსის მოადგილესთან, რადგან უფროსი შვებულებაში იყო. მოადგილე, ლისაბონის კურსდამთავრებული ნახშირის საბადოების სპეციალობით, დაბალი ტანის, კარგად შესუქებული ტიპიური ინდოელი იყო. ეს იყო ჩვენი პირველი სამუშაო დღე.

პირველხანებში ძალიან გაგვიჭირდა პორტუგალიური ენის არცოდნის გამო — ყველა გეოლოგიური ანგარიში შესრულებული იყო პორტუგალიურ ენაზე. ორი თარჯიმანი გვყავდა და მათგან ერთი ყოველთვის ჩემთან იყო, მაგრამ მეორე თარჯიმანი ფიზიკურად ვერ აზერხებდა ყველა სპეციალისტის მომსახურებას. დღის წესრიგში დადგა პორტუგალიური ენის სასწრაფოდ შესწავლა. ჯგუფში რუსულის გარდა სხვა ენა არავინ იცოდა — მოზამბიკში მცხოვრებლებს დებილები ვეგონეთ...

საელჩოსგან მითითება გვქონდა, რომ თუ მოზამბიკში გადატრიალება მოხდებოდა, არ აღმოვჩენილიყავით საელჩოს სიახლოვეს, ზოგადად კი, ეცადეთ კუბელებთან დაიჭიროთ კავშირი, ისინი ჩვენი ნამდვილი მეგობრები არიანო.



მოზამბიკში ყოფნის პირველი წელი ძალიან მძიმე იყო. ვგრძნობდით, რომ ჩვენი იქ ყოფნა ბევრს არ სიამოვნებდა, მათ შორის სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებსაც — ჩეხეთი, რუმინეთი, გერმანია, — ხელს გვიშლიდნენ მუშაობაში. ჩვენთან მეგობრულად იყვნენ ბულგარელები, კუბელები და ჩილელები.

ალბათ, მართებული იქნება მოკლედ აღვნიშნო პეგმატიტების საბადოები, რომელთა კონცენტრაციასაც მაღალი ღირებულება ჰქონდა „ცივი ომის“ პერიოდში. მოზამბიკში პეგმატიტების საბადოები დიდ ტერიტორიას მოიცავს, განსაკუთრებით გამოირჩევა ზამბეზია, სადაც თავმოყრილია პეგმატიტების საბადოების (მურუა, მაროპინო, მუიანე, მუტალა, მონეია და სხვა) დიდი რაოდენობა, რომლებიც ხასიათდებიან იშვიათი ელემენტების (ტანტალი, ნიობიუმი, ლითიუმი, ბისმუტი, ცეზიუმი, ბერილიუმი) მაღალი შემცველობით და ძვირფასი ქვებით: ზურმუხტი, აქვამარინი, მორგანიტი, ალექსანდრიტი, ბაციტი, გაშეიტი, გელიოდორი, რუბელიტი, ვერდელიტი, ინდიგოლიტი, არხოიტი, შერლი. ჩემი კონტრაქტის გეოლოგებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პეგმატიტების საბადოების ძებნასა და მარაგების გამოთვლაში, რაც დადებითად შეფასდა სსრკ-ის გეოლოგიის სამინისტროში.

ყველა ქვეყანას ჰქონდა მოზამბიკში ეკონომიკური ინტერესი. აშშ-მა მოზამბიკს შესთავაზა შელფზე ჩაეტარებინა გეოლოგიურ-გეოფიზიკური კვლევები, თან იმ პირობით, რომ აშშ ყველა სამუშაოს თავისი ხარჯით შეასრულებდა, მაგრამ თუ აღმოჩნდებოდა ნავთობის საბადო, აშშ უფლებას იტოვებდა რომ მიეღო მონაწილეობა მის ექსპლოატაციაში.

ეს ინფორმაცია რომ შევიტყვეთ გეოლოგებმა, სასწრაფოდ ვაცნობეთ ჩვენს საელჩოს, საელჩომ — მოსკოვს. მოსკოვმა შეახსენა მოზამბიკის ხელისუფლებას, რომ მოზამბიკმა დაიწყო სოციალისტური ქვეყნის მშენებლობა და არა კაპიტალისტურისა, ამიტომ იქ ამერიკელების ყოფნა დაუშვებელია.



მოზამბიკს არ ჰქონდა საწვავი, ძალიან უჭირდა, საბჭოთა კავშირს სთავაზობდა შელფის ტერიტორიაზე ნავთობის საბადოს ძებნას, მაგრამ ჩვენი მხარე აჭიანურებდა, რადგან შელფი მოითხოვდა რამდენიმე კილომეტრიანი სიღრმის ჭაბურღილის გაბურღვას, საბჭოთა კავშირს კი არ ჰქონდა საამისო ტექნიკა და ტექნოლოგია.

გეოლოგიური მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოზამბიკში ეკონომიკის თვალსაზრისით მნიშვნელობა ჰქონდა პეგმატიტებისა და ნახშირის საბადოებს. „ცივი ომის“ ეპოქაში ელემენტების კონცენტრატს მაღალი ფასი ჰქონდა საერთაშორისო ბაზარზე. ჩვენმა ჯგუფმა მათი მარაგებიც გამოთვალა. მოზამბიკი თანახმა იყო, რომ საბჭოთა კავშირისთვის კონცენტრატით გადაეხადა, მაგრამ ჩვენები არ ჩქარობდნენ, პასუხი აგვიანებდა.

ჰოდა, აღმოსავლეთ გერმანიის რესპუბლიკიდან ჩამოვიდა დელეგაცია, ჩაიხედეს პეგმატიტების საბადოების ეკონომიკაში, მიხვდნენ რომ მათი დამუშავება დიდ მოგებას მისცემდა და ორ კვირაში გააფორმეს კონტრაქტი მოზამბიკთან. მოსკოვი დარჩა აფსაიტში!

მოგვიანებით, მოსკოვმა მაინც შეძლო ჩართულიყო გერმანელების კონტრაქტში, რადგან გერმანელებს არ შეეძლოთ ამ საბადოების ათვისება იმ მარტივი მოცემულობის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ არც პრაქტიკული გამოცდილება, არც ტექნიკა და არც ტექნოლოგია, რადგან აღმოსავლეთ გერმანიაში მსგავსი საბადოები არ არსებობს.

მოზამბიკში თებერვალი ზაფხულის თვეა, წვიმების სეზონი, დღეში რამდენჯერმე მოდის კოკისპირული წვიმა. დილის შვიდ საათზე უნდა გავფრენილიყავით რეისით მაპუტუ-ბეირა-ნაპულა. ბეირაში ვახშმის დროს იქაური ლამაზმანები შემოგვესივნენ, მაგრამ რა გვექნა, მე და უშაკოვი დაჩაგრულები ვპასუხობდით. „სოვეტიკო მორალ!“ რომ ავუხსენით რას ნიშნავდა ჩვენი ნათქვამი, სიცილით დაიხოცნენ და გაგვცილდნენ.

მეორე დილას ნამპულაში გავფრინდით. წარმოებას ხელმძღვანელობდა ჟუაო სანტუშ გარსია, ეროვნული გეოლოგი. ერთ-ერთ ვახშამზე ჟუაომ ანტილოპებზე ნადირობა შემოგვთავაზა. მე დავეთანხმე, თან დავძინე, რომ კავკასიაში არაერთხელ მინადირია ჯიხვზე. ამ ინფორმაციის შემდეგ აბსოლუტურად სხვანაირად განეწყო ჩემს მიმართ. ჟოაო ცნობილი მონადირე იყო აფრიკაში, რამდენიმე ლომი ჰყავდა მოკლული.

ჟოაომ განკარგულება გასცა რომ ღამის პირობებში სანადიროდ მოემზადებინათ მანქანა და გავუყევით სავანისკენ. დაღამებამდე დიდი დრო იყო. გზაზე მაიმუნების ჯოგი შეგვხვდა. ჟოაომ მანქანა გააჩერებინა, წვრილკალიბრიანი თოფი ესროლა მაიმუნების ბელადს და მიწაზე მოადენინა ზღართანი. გამიკვირდა, რატომ მოკალი-მეთქი?

**მაია ჭელიძე**

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
გელა ზედელაშვილი, თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33–44–14; 593 44–04–01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს–158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

http://www.saertomedia.com